ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 7 თებერვალი, 2019 №31 (7886) ფასი: 60 თეთრი

ალიარებს თუ არა თბილისი აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობას

ოკუპირებულ ტერიტორიებზე საბაჟო-გამშვები პუნქტების გახსნა იგეგმება

გვ.5

7 თებერვლიდან

ქართული დეტექტივი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„საპრეზიდენტო არჩევნებმა ივანიშვილის უძლეველობის მითი დაამსხვრია“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „დღეს „ქართული ოცნება“ თავად გახდა ნაციონალური მოძრაობა“

ანა დოლიძე: „იუსტიციის საბჭოს წევრებისგან თავდასხმებს ველოდები“

გვ.4

სკანდალი გურჯაანის მერიაში

გვ.2

არჩილ ხანდამაშვილმა თანამშრომელი ოპოზიციონერისთვის გამარჯობის თქმის გამო გაათავისუფლა

დეპუტატების ნაწილი „ქართულ ოცნებას“ უახლოეს მომავალში დატოვებს

გვ.3

სამართალი

გვ.7

საუკუნის ძარცვა ბელგიაში

პოლიციამ საქართველოს მოქალაქე დააკავა

თურქეთი ლავას ოღლის საქართველოში ექსტრადირებაზე უარს ამბობს?!

რა ელის გავლენიან კანონიერ ქურდს

რა მოხდა თბილისში გაზის გაჟონვით დაღუპული ძმების დაკრძალვაზე

ეკონომიკა

გვ.6

„კულა“ უკრაინიდან თაფლის შემოტანას უარყოფს — რომელ მეფუტკრეებს გაუფორმებს კომპანია ხელშეკრულებას

სიგარეტი ისევ გაძვირდა

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს ალბათ დავით ონოფრიშვილი უხელმძღვანელებს

ISSN 1987-9385

3 გიორგი ახვლედიანი: „ბესელიას ჩანაწერები ნაციონალებმა გაუვრცელეს“

6 რატომ გაჩერდა კომპანია „ბეიკერი“, რომელიც პატიმრებისთვის პურს აცხობდა

5 ბახტაძემ გახარიას მოადგილედ ვლადიმერ ბორცვაძე დაუნიშნა

8 ავღანეთში ჟურნალისტები დახოცეს

სკანდალი გურჯაანის მერიაში

არჩილ ხანდამაშვილმა თანამშრომელი ოპოზიციონერისთვის გამარჯობის თქმის გამო გაათავისუფლა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში, სადაც არსებობს გამოთქმა – სალამი ღვთისაა და აქ უცხოებსაც კი ესალმებიან, გამარჯობის თქმის გამო ადამიანმა შეიძლება სამსახური დაკარგოს. ეს სტანდარტი საოცნებო ხელისუფლებამ დაამკვიდრა. მართალია, ის ჯერ მხოლოდ გურჯაანზე ვრცელდება, მაგრამ სათანადო რეაგირება თუ არ იქნა, მთელ ქვეყანას მოიცავს.

მმართველმა პარტიამ ვერაფრით მოინელა თელავში საპრეზიდენტო არჩევნების ორივე ტურის წაგება. განსაკუთრებით გურჯაანელი მეოცნებეები არიან გაცეცხლებული. ისეთი გამწარებულები არიან, შეიძლება ნაციონალ გიორგი ბოტკოველს გურჯაანის გზა გადაუკეტონ და ამ უკანასკნელს მშობლიურ თელავში სიარულმა გომბორის გავლით მოუწიოს.

გზის გადაკეტვამდე კი გურჯაანელმა მეოცნებეებმა იმ ხალხის დასჯა დაიწყეს, ვინც ბედავს და გიორგი ბოტკოველს გამარჯობას ეუბნება.

გიორგი ბოტკოველმა გუშინ, 6 თებერვალს, საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც სკანდალური ჩანაწერი წარმოადგინა.

ჩანაწერი გურჯაანის მერის არჩილ ხანდამაშვილის კაბინეტშია გაკეთებული.

ამ ჩანაწერიდან ჩანს, თუ როგორ აიძულებს ხანდამაშვილი თანამშრომელს, სამსახური დატოვოს. გურჯაანის მერი არ მალავს, რომ იზოლდა ხარაზიშვილს სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებს.

გიორგი ბოტკოველი: „ნულა მომესალმებით, მხოლოდ ჩუმად ჩამიკარით თვალი“

– რას გიშავებ, იქნებ მითხრა? – ეკითხება ხარაზიშვილი გურჯაანის მერს.

გურჯაანელთა რჩეული ამ კითხვას ასე პასუხობს:

– ნაციონალური მოძრაობის შეკრებებზე დადიხარ და დედას გვაგინებ, მეტი რაღა უნდა უნდა დამიშავო. „ქართული ოცნების“ წევრი ვარ, კბილებით დავიცავ ჩემს პოზიციას.

გიორგი ბოტკოველის განცხადებით, ხანდამაშვილმა ხარაზიშვილი სამსახურიდან იმიტომ გაუშვა, რომ ამ ქალმა გაბედა და მას გამარჯობა უთხრა.

თელაველების და გურჯაანელების „დაპირისპირება“ საუკუნეებს ითვლის. „ახალი თაობა“ დაინტერესდა, ხანდამაშვილმა თანამშრომელი იმის გამო ხომ არ მოხსნა, რომ მან თელაველს უთხრა სალამი.

– გურჯაანელების და თელაველების მტრობის მითი დიდი ხანია დავამსხვრიე. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს გურჯაანში. ქალბატონი იზო იმიტომ გაუშვეს, რომ მან გაბედა და ნაციონალს უთხრა სალამი, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ბოტკოველი.

მისი განმარტებით, ხარაზიშვილი სამსახურიდან გათავისუფლებას გადაურჩებოდა, ის მარტო მისალმებას რომ დასჯერებოდა. თავნება ქალმა გაბედა და ოპოზიციონერთან ერთად დაბირჟავა.

– გურჯაანის მერის კაბინეტში ქალბატონს ნამდვილი საქმის გარჩევა მოუწყეს. ამ გარჩევაში მერი, მისი მოადგილე და მაჟორიტარის ბიუროს ხელმძღვანელი მონაწილეობდნენ.

მათ პირდაპირ უთხრეს ქალბატონს, რომ ჩემთან მისალმების და დაბირჟავების გამო უშვებდნენ სამსახურიდან. პირდაპირ უთხრეს, მაგასთან ერთად დაბირჟავება როგორ გაბედეო, – აღნიშნავს პირველი კახელი ნაციონალი.

ბოტკოველის განმარტებით, მისთვის და სხვა ნაციონალებისთვის გამარჯობის თქმა უკვე დასჯადი გახდა. ამიტომ ის თავის ნაცნობებს, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ, საგანგებოდ მიმართავს.

– მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით ყველა ჩემს ნაცნობს მივმართო, ჩემთვის სალმის მოცემის გამო, შეიძლება სამსახურიდან გამოგიშვან. ამიტომ ნუ მომესალმებით, მხოლოდ ჩუმად ჩამიკარით თვალი.

შეიძლება ვიღაცას სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულებს ოფიციალურად აუკრძალეს ჩვენთვის, ოპოზიციონერებისთვის, გამარჯობის თქმა, – განაცხადა ბოტკოველმა.

პირველი კახელი ნაციონალი ამ საქმის ასე დატოვებას არ აპირებს და პროკურატურაში შეაქვს სარჩელი.

– გაერთიანებული ოპოზიცია აუცილებლად მიმართავს პროკურატურას. პოლიტიკური ნიშნით ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლება არის დანაშაული, გურჯაანის მერმა დანაშაული ჩაიდინა და მან ამაზე აუცილებლად უნდა აგოს პასუხი, – მიაჩნია გიორგი ბოტკოველს.

„საპრეზიდენტო არჩევნებმა ივანიშვილის უძლეველობის მითი დაამსხვრია“

გია ხუხაშვილი: „დღეს „ქართული ოცნება“ თავად გახდა ნაციონალური მოძრაობა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და მმართველი პარტიის პოლიტიკურ პერსპექტივაზე საუბრობს.

– ბატონო გია, ეკა ბესელია ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიღების ეტაპი დადგა. ივანიშვილი დაპირისპირებული მხარეების შერიგებას ცდილობდა. როგორ ფიქრობთ, რასთან გვაქვს საქმე?

– პროცესი სულ სხვაგან არის. იმ წერილის შემდეგ, რომელიც პოლიტსაბჭოს შემდეგ გამოქვეყნდა, ყველაფერი გასაგები გახდა. ბიძინა ივანიშვილის პოზიცია აბსოლუტურად ნათელია. მას ჰქონდა საკმაოდ რთული დილემა, მას უნდა მიეღო გადაწყვეტილება და მან ეს გადაწყვეტილება მიიღო. მას ან რაღაც უნდა შეეცვალა, რადიკალიზაციის გზით წასულიყო, ან მთლიანად სისტემის ტყვეობაში უნდა დარჩენილიყო.

როგორც ჩანს, ის სისტემის ტყვეობაში დარჩა. ივანიშვილმა ეს არჩევანი ღიად გააკეთა. „ქართულმა ოცნებამ“ წითელი ხაზი გადალახა.

იმ აბსოლუტურად უტიფარ წერილში, რომელსაც „ქართული ოცნება“ ავრცელებს, საზოგადოებას ეუბნებიან, რომ ყველა, ვისაც მურუსიძე არ მოსწონს, ნაციონალური მოძრაობაა.

ეს უკვე საზოგადოების ღია გამოწვევაა. ვნახავთ, როგორ მიიღებს ამ გამოწვევას საზოგადოება. არადა, სწორედ ამ წერილით „ქართული ოცნება“ გახდა ნაციონალური მოძრაობის პირდაპირი სამართალმემკვიდრე.

სააკაშვილის ჯინი კი არ გვჭირდა – არ მოგვწონდა ის სისტემა, რომელიც მან ააშენა, ეს იყო მიზეზი. ამ წერილით დღევანდელმა ხელისუფლებამ, რომელიც სრულიად საწინააღმდეგო



ლოზუნგით მოვიდა, მთლიანად გადაიბარა ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობა, ანუ თავად გახდა ნაციონალური მოძრაობა.

თურმე 2000 წლის ინტერვალით კიდევ ერთხელ მოხდა სასწაული და კიდევ ერთხელ გადაიქცა სავლე პავლედ. ამას გვეუბნებიან მაშინ, როდესაც ამბობენ, რომ მურუსიძე კარგი გახდა. ამას ეუბნება ქართველ საზოგადოებას, მაგალითად, კობახიძე, როდესაც ამბობს, რომ უნდა ვირწმუნოთ მურუსიძის მოციქულობის.

ეს მათი კონცეფცია, ფაქტობრივად, რელიგიის რანგშია აყვანილი. აბა სხვაგვარად როგორ გინდა გაიგო ის, რასაც კობახიძე გვეუბნება?! სხვაგვარად არ იკითხება მათი გზავნილები.

მე ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, რომ ამ ახალი რელიგიის ირწმუნოს საზოგადოებამ, ამიტომ მათ მოუწევთ შესაბამისი პოლიტიკური ფასის გადახდა. სხვაგვარი მოვლენების განვითარება უბრალოდ წარმოუდგენელია.

– ახალი ფრაქციის შესაქმნელად რამდენიმე დეპუტატი აკლდებათ. პარლამენტში შეიქმნება ახალი ფრაქცია?

– რა მნიშვნელობა აქვს, შეიქმნება ახალი ფრაქცია თუ არ შეიქმნება, ეს ხომ თამაშია. ეს ხომ ვერ შეცვლის იმ გლობალურ პროცესს, რომელიც დაწყებულია. მე კიდევ ვიმეორებ, ეს პროცესი სულ სხვაგან არის და არა, მაგალითად, პარლამენტში.

– რას გულისხმობთ?

– მოვლენათა იმ განვითარებას, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს. ეს პროცესი გარდაუვალია. „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის სამართალმემკვიდრე გახდა.

სიმართლე გითხრათ, მე სულ არ მჯერა იმ ღირებულებებისა და იმ ფასეულობების, რომლებზეც ამ ბოლო დროს კეთდება აქცენტი. ეს არადამაჯერებელია.

– ვის გულისხმობთ?

– მაგალითად, ბესელიას. ჩინჩალაძე და მურუსიძე დღეს ხომ არ მიუყვანიათ, ისინი უკვე 6 წელია, იქ არიან. ეს არ არის ფასეულობათა და ღირებულებათა სისტემა, 6 წელი თუ ითმინე, მე-7 წელს თმენის ვალდებულება ამოიწურა თუ რა?!

– როგორ ფიქრობთ, რეალურად რა მოხდა?

– ბევრი მიზეზი იყო. მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ბიძინა ივანიშვილის უძლეველობის იმიჯი დაინგრა და ეს იმიჯი ამ არჩევნებზე დაიმსხვრა, როდესაც მას დასჭირდა დახმარება.

ეს კარგად დაინახა მისმა გუნდმაც.

ივანიშვილს ორი რაღაცით ეჭირა პროცესი: თავისი რესურსით და ავტორიტეტით. ამ ორიდან ერთი აღარ აქვს. ის დღესაც დარჩა რესურსების წყაროდ, მაგრამ მეორე, უძლეველობის იმიჯი აღარ აქვს.

ფაქტია, რომ მან არჩევნები წააგო, პირველი ტურის წაგება ნიშნავს არჩევნების წაგებას, რადგან მეორე ტურში სხვა ფაქტორი ამუშავდა.

– ხალხმა სააკაშვილის წინააღმდეგ მისცა ხმა?

– რა თქმა უნდა! არჩევნები ირმა ინაშვილმა მოიგო. ივანიშვილის უძლეველობის იმიჯი დაიმსხვრა და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო შიდა რყევები. ახლა ძალაუფლების განაწილებას სთხოვენ.

ივანიშვილი დადგა ამ საფრთხის წინაშე და დაიწყო ჭანჭიკების მოჭერა, მაგრამ უკვე გვიანია. ფაქტობრივად, მისი მთავარი საზრუნავი დღეს ძალაუფლების შენარჩუნებაა, ამ მიზნით ის უკვე სახიფათო გზას დაადგა – ეს არის ყველა ალტერნატიული რესურსის აღკვეთა, არც ერთი კაპიკი გვერდით არ უნდა წავიდეს. ეს არის იგივე, რასაც სააკაშვილი აკეთებდა თავის დროზე.

– ბატონო გია, რაოდენ ეგზოტიკურად არ უნდა ჟღერდეს ჩემი კითხვა, მაინც უნდა გკითხოთ. გამორიცხავთ, რომ ეს პროცესი ხელოვნური იყოს და ივანიშვილი სწორედ ამ ფრთიდან ქმნიდეს ე.წ. მესამე ძალას?

– ძალიან არასერიოზულია. და ვისგან ქმნის ამ მესამე ძალას?!

– ბესელიასგან, გოგიჩაიშვილისგან.

– ბესელია არ არის ამ ქვეყანაში პოლიტიკური ავტორიტეტი. ის, რასაც ხალხისგან იმსახურებს, ყველაზე დიდი თანაგრძნობაა და ეს თანაგრძნობა მისდამი მეც მაქვს, რადგან ბინძური თამაშების მსხვერპლი აღმოჩნდა.

ღევან გოგიჩაიშვილს მეგობრად ვთვლი, კარგი ადამიანია, მაგრამ ამ ადამიანური რესურსით მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნა არასერიოზულია.

– სრულად გამორიცხავთ?

– არა, როგორ გამოვრიცხავ, შეიძლება, ივანიშვილი ათას რაღაცაზე ფიქრობს ახლა, მაგრამ ამის გაკეთება ამ ადამიანური რესურსით შეუძლებელია, ამას ვამბობ.

ივანიშვილი შეიძლება მართლა ფიქრობდეს რაღაცას, მაგრამ პერსპექტივა არ აქვს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი ახვლედიანი: „ბესელიას ჩანაწერები ნაციონალებმა გაუვრცელეს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გიორგი ახვლედიანი აფასებს.

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ იმას, რაც „ქართული ოცნების“ შიგნით ხდება?

– იმას, რომ „ქართულ ოცნებაში“ 2018 წელს გაჩენილი ბზარი გაიზრდებოდა, დიდი მარჩიელობა და წინასწარმეტყველება არ სჭირდებოდა. პროცესი დაიწყო 2018-ში, გამოკვეთილი და ღია დაპირისპირება ძველებსა და ახლებს შორის, ანუ იმ წევრებს შორის, რომლებიც თავიდანვე იყვნენ „ოცნებაში“ და რომლებიც მოგვიანებით შემოუერთდნენ.

– რა იყო ეს, თაობათა ბრძოლა?

– ბევრს ეგონა, რომ ეს იყო თაობათა ბრძოლა და ჩატეხილი ხიდი, მაგრამ ასე არ არის. მარტო ეს პრობლემა არ ყოფილა. კი, ძველებს არ მოსწონდათ, რომ ახალგაზრდები თავზე დაასვეს, მაგრამ აქ, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიური პრობლემაა.

ახალგაზრდები, რომლებიც დღეს საპარლამენტო უმრავლესობას მართავენ, გამოკვეთილად ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ახალგაზრდები არიან. ვინც „ოცნება“ დააფუძნა, ეს უფრო კონსერვატიული ფლანგია.

მათ ძირითადად იდეოლოგიური დაპირისპირება აქვთ. შეუძლებელი და წარმოუდგენელიც კი იყო, რომ დაპირისპირების ეს პროცესი არ გაღრმავებულიყო.

– და ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ამ სიტუაციაში როგორია?

– ბიძინა ივანიშვილმა ნამდვილად ძალიან ბევრი ეცადა. გუნდი რომ არ დარღვეოდა, პარტიაშიც კი დაბრუნდა. ეცადა, რღვევის პროცესი შეეჩერებინა და გარკვეულ ეტაპზე მოახერხა.

ახლაც იყო მაგისი მცდელობა. ეკა ბესელიას, მის თანამოაზრეებს და ამ ახალგაზრდა ფრთას შორის ძალიან დაიძაბა სიტუაცია. „ქართულ ოცნებაში“ ძალიან მძიმე ვითარებაა. პოლიტიკური ხოცვა-ჟლეტა მიდის.

– ბიძინაც უძლური აღმოჩნდა ამ პროცესის წინაშე?

– ბიძინა ივანიშვილი აშკარად შეეცადა, რომ დაპირისპირება არ გაეღვივებინა. გამოჩნდა კიდეც, რომ ძალიან მკაცრი გაფრთხილება მისცა, რომ არ გაეღვივებინათ ეს დაპირისპირება, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

– ძალიან ცუდად მოექცნენ ეკა ბესელიას. ვის ინტერესებში შედიოდა ეს ყველაფერი?

– ეკა ბესელიასთან დაკავშირებით ძალიან მარტივად დგას საქმე. შარშან აგვისტოში იყო მიღებული გადაწყვეტილება, რომ ეკა ბესელია უნდა გადასულიყო ვიცე-სპიკერად. შარშან ზაფხულში უკვე ძალიან სერიოზული პრობლემა იყო, რადგან ძველი გვარდიელი, ეკა ბესელია ტოვებდა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს. სწორედ ამ დაპირისპირების ჩასაცხრომად შესთავაზა ივანიშვილმა ბესელიას, რომ დაეტოვებინა ეს პოსტი და გამხდარიყო ვიცე-სპიკერი. ისიც დათანხმდა.

– მაშინ რა შეიცვალა?

– როდესაც მოსამართლეების სია გადაეგზავნა პარლამენტს, მოხდა კიდევ ერთხელ დაჯახება ძველებს და ახლებს შორის. „ოცნების“ ბევრი წევრისთვის ეს იმიჯური თემა გახდა. მათ შორის, ასევე ბევრია ყოფილი პოლიტპატიმარიც და ბევრ მათგანს ამ მოსამართლეების ხელში აქვს გამოვლილი.

ბესელიამ კარგად იცოდა, რომ მისი ვიცე-სპიკერად გადაყვანა პოლიტიკური კარიერის შენელება იყო, მისი დაქვეითება. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებული იყო ეკა ბესელიას გადაყვანა, მან დაინახა, რომ ძალიან კარგი თემა აგორდა.

– მოსამართლეების თემას გულისხმობთ?

– დიახ, აგორდა ამ იუსტიციის საბჭოდან შემოტანილი მოსამართლეების თემა. შეიძლებოდა საზოგადოებრივი განწყობების საკუთარ მხარეს მიმხრობა და ეს ბესელიას ძალიან კარგად გამოუვიდა.

ბესელია ცდილობს, არ დაუპირისპირდეს ბიძინა ივანიშვილს. მას ეგონა, რომ ივანიშვილი მასზე და მის გუნდზე გააკეთებდა დაყრდნობას. ბესელიამ გადაწყვიტა, არ დათანხმებულიყო შეთანხმებას ვიცე-სპიკერად გადაყვანის თაობაზე, მან ჩაშალა ეს მოლაპარაკება და პირდაპირ მიიტანა იერიში ამ მოსამართლეებზე და, ამ მოსამართლეების მეშვეობით, პარლამენტის ხელმძღვანელობაზე.

– სწორად გათვალა ბესელიამ თუ შეცდა?

– ვერ ვიტყვი, რომ მისი მხრიდან ეს არასწორი მოქმედება იყო. ჯერჯერობით ამას ეკა ბესელიასთვის პოზიტიური ქულები მოაქვს.

მეორე მხარეს დარჩენილები კი ცდილობენ განუმარტონ საზოგადოებას, რომ ეკა ბესელია არ წასულა მოსამართლეების თემის გამო, მაგრამ საზოგადოებისთვის რთული გასაგებია ეს ჩახლართული პოლიტიკური გადაწყვეტილებები და იმის ამოქექვა, რაც მანამდე შიგნით დუღდა.

დღეს მოცემულობა ასეთია – ბესელია ამბობს: მოსამართლეების გამო წამოვედი და სწორედ ამიტომ ვუპირისპირდები ამ გუნდსო. თუ არ გაითვალისწინებენ ჩემს აზრს, საერთოდ წავალო.

– საზოგადოება მას უფრო დაუჯერებს?

– ახლა ბესელია უფრო მომგებიან სიტუაციაშია. თუ მან გადაწყვიტა ოპოზიციაში წასვლა, ცდილობს, რომ მაქსიმალური პოზიტივით წავიდეს. ის ცდილობს, დივიდენდები მოიპოვოს როგორიც ბიძინას თვალში, ისე საზოგადოების.

ძალიან გამწვავებულია სიტუაცია და ამას აღარაფერი ეშველება. რამდენად გაამწვავა ეს თითქოს ცოტა მიწყნარებული სიტუაცია ჩანაწერების ამბავმა, აქ კითხვის ნიშნები არის. ვფიქრობ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ გაავრცელა ეს კადრები.

– რატომ?

– ვის ინტერესში შედის, თუ არა მათი, რომ დაიშალოს უმრავლესობა?! ის, რომ „ქართული ოცნება“ დასუსტდეს და არ იყოს ძლიერი, მისი მორევა იყოს იოლი, ყველა ოპოზიციური პარტიის ინტერესშია. თუმცა სხვა ოპოზიციურ პარტიებს ეს ჩანაწერები არ აქვთ.

ეს ჩანაწერები აქვს მხოლოდ ორ პოლიტიკურ ძალას. ეს არის ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც რაც კასრებით მიწაში დისკები ჩამარხა, იმათი ასლები შეინახა და, დარწმუნებული ვარ, ყველა მათგანს აქვს და ძალიან მაღალია იმის ალბათობაც, რომ „ქართულ ოცნებასაც“ ჰქონდეს ამის ასლები.

– დიდი ალბათობით „ოცნებასაც“ აქვსო და იქნებ იმ გაბრაზებული კოლეგების ხელი ურევია ამ საქმეში?

– არა. ბიძინა ივანიშვილმა წინა შეხვედრებზე მკაცრი ბრძანება გასცა, რომ უნდა მოხდეს შერიგება, რომ არანაირი დრო და მომენტი არ არის დაპირისპირების და ახალი პოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბებისთვის. ამიტომ ცოტა ეჭვი მეპარება, რომ ასეთი მკაცრი მოთხოვნის ფონზე, რომელიმეს „ქართულ ოცნებაში“ ორი თავი ჰქონოდა და დაეწყო ამის გავრცელება.

როგორც კი შერიგების ნიშნები გაჩნდა, მეორე დღესვე გამოქვეყნდა ეს ჩანაწერები. ანუ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ეს შერიგება არ შემდგარიყო და მომხდარიყო ჩქარი ტემპით დაშლა და ნგრევა.

გავიდა ჩანაწერები და მერე წამოვიდა მესიჯები ნაციონალების ტელევიზიიდან, რომ ეკა ბესელიამ ეს თავის თავს თვითონ გაუვრცელა. გამოიყვანეს უკაცრავად და ტვინდაცურებული მოსამართლე გვრიტიშვილი და მთელი საათი ყვებოდა იმას, რომ ეს ბესელიამ საკუთარ თავს თავად მოუწყო.

ამ ჩანაწერებმა დააჩქარა თუ არა ეს შიდა აფეთქებები, რთული სათქმელია, თუმცა რაღაც სიმპტომები გამოიკვეთა. გამოჩნდა, რომ განსხვავებული ხედვები დაფიქსირდა ყველა პროცესზე ეკა ბესელიას და ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებს შორის.

– ივანიშვილი ვის მხარეზეა?

– ჯერჯერობით გამოკვეთილად ჩანს, რომ ბიძინა ივანიშვილი მხარს უჭერს ახალგაზრდა გუნდს, თუმცა, საბოლოო ჯამში, როგორ წარიმართება ეკა ბესელიას და ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობები, ეს ძალიან გაურკვეველია.

არ არის გამორიცხული, რომ ეკა ბესელიას ჰქონდეს სურვილი, ივანიშვილის ზურგს უკან ამოფარებული აგრძელებდეს პოლიტიკურ საქმიანობას. ივანიშვილის გარეშე რომ ცოტა რთული იქნება, მას ესეც კარგად ესმის.

დეპუტატების ნაწილი „ქართულ ოცნებას“ უახლოეს მომავალში დატოვებს

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ პარტიაში ვნებათაღელვა არ ცხრება. გადარეული მეოცნებეების დაოკებას ბიძინა ივანიშვილიც ვეღარ ახერხებს, რომელიც თავის სამწყოს ყოველდღიურ თათბირებს უტარებს.

საპარლამენტო უმრავლესობა და პარტიის პოლიტსაბჭო გუშინაც შეიკრიბა. შეხვედრაზე პარტიიდან გედევან ფოფხაძის გარიცხვის საკითხი უნდა განეხილათ.

„ოცნების“ გამორჩეული სახე მიიჩნევს, რომ გარიცხვა არ არის ლამაზი, მაგრამ არც ისაა მოსაწონი, გუნდში იყო და გუნდს გარედან ურტყამდე.

– ყველა თავისუფალია გუნდის შიგნით მოქმედებისას და ასევეა იმ შემთხვევაშიც, თუ გუნდს დატოვებს. ჩვენ არავის ვრიცხავთ, არავის ვუზღუდავთ თავისუფლებას, მაგრამ არც ის გვინდა მივიღოთ, რომ გუნდის შიგნით იყო და გუნდს გარედან ურტყამდე, – განაცხადა ქუცნაშვილმა უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ.

„ოცნებაში“ განხეთქილების მიზეზი ისევ მოსამართლეების თემაა. საუბარია იმ მოსამართლეებზე, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის თქმით კი, „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაციონალური მოძრაობის მსგავსად არ მოქცეულიყო და პროცესები ქირურგიული ჩარევებით არ ემართა.

– 2012 წლამდე გვქონდა სისტემა, რომელიც დანაშაულებრივი იყო როგორც პოლიტიკური, ისე რეალური და პრაქტიკული შეფასებით. ამ დანაშაულებრივი სისტემის წიაღში ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობდა. ეს იყო მოცემულობა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

„ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, ნაციონალური მოძრაობის მსგავსად არ მოქცეულიყო და პროცესები ქირურგიული ჩარევებით არ ემართა, ყველა სისტემისთვის მიეცა შიგნით განკურნებისა და გაჯანსაღების შესაძლებლობა. ნებისმიერი განმარტება, რომელიც ამ პრინციპიდან გამომდინარეობს, არ შეიძლება სხვაგვარად ინტერპრეტირებული იყოს, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

დახურულ სხდომას დეპუტატი ეკა ბესელიაც ესწრებოდა, რომელიც მოსამართლეების წინააღმდეგ ლამის ხმალამოღებული ილაშქრებს.

სხდომიდან გამოსული ბესელია ნამტირალევივით გამოიყურებოდა. მედიის კითხვაზე, იტირა თუ არა, ასე უპასუხა:

– ეს ცრემლები არაა, ეს ბრჭყვიალებია.

ამ განმარტების შემდეგ მან დახურულ შეხვედრაზეც გააკეთა კომენტარი.

ბესელია ამბობს, რომ შეხვედრაზე მისთვის ნათელი გახდა, რომ მოახლოვდა დრო, როცა მან და მისმა თანაგუნდელებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, ახერხებენ თუ არა საერთო და ფუნდამენტური ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებას.

დეპუტატის თქმით, ის არ იჩქარებს რადიკალური ნაბიჯების გადადგმას, რადგან ამან შეიძლება ხელი შეუწყოს წინა ხელისუფლების დაბრუნებას და 2020 წელს მართვის სადავეები სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ აიღოს.

– ალბათ დადგა და მომწიფდა ის ეტაპი, როდესაც მეც და რამდენიმე ადამიანმა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ ღირებულებებთან დაკავშირებით და ფასეულობებთან დაკავშირებით. ჩვენ ერთ პოზიციაზე ვახერხებთ, რომ დავინახოთ ერთიანი სურათი თუ ვერა, ეს ეტაპი ძალიან ახლოს მოვიდა.

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მე არ მინდა რაიმე ნაბიჯით ხელი შევუწყო სააკაშვილის და მისი ძალადობრივი სისტემის რეამინირებას და მობრუნებას 2020 წელს, ამიტომ ჩვენ უნდა დავინახოთ, ჩვენი შემდგომი ნაბიჯები როგორი უნდა იყოს. მე პირადად ავიღებდი რამდენიმე დღეს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღო, ჩვენ შევძლებთ ერთად ამ ფასეულობების ირგვლივ გაერთიანებას, „ქართულ ოცნებას“ ვგულისხმობ, რომლის დაფუძნებულიც ვარ, მაგრამ არის გადაწყვეტილების ეტაპი, ალბათ რამდენიმე დღეს ავიღებთ, – განაცხადა დეპუტატმა.

საბოლოო გადაწყვეტილების გამხელას არ ჩქარობს ლევან გოგიჩაიშვილიც, თუმცა მისი კომენტარებიდან ნათელია, რომ ის „ქართულ ოცნებას“ დატოვებს.

ლევან გოგიჩაიშვილის თქმით, პარტიის დატოვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს.

– მე ჩემს თავში გადაწყვეტილება მიღებული მაქვს, გავახმოვანებ, როცა ჩავთვლი საჭიროდ. მანამდე მინდა დავინახო, სად დავშორდით და სად ვერთდებით. გუშინდელი განცხადებით ვგრძნობთ, რომ დავშორდით და ეს არ არის ის დაკვეთა, რაც „ოცნებამ“ ხალხისგან მიიღო, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ანრი ოხანაშვილი არსად წასვლას არ აპირებს. ის მიიჩნევს, რომ აუცილებელია გუნდურობის შენარჩუნება.

მისი თქმით, უმრავლესობის სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად,

საუბარი შეეხო იმას, რომ გუნდურობა ძალიან მნიშვნელოვანია და თითოეულ წევრს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ოხანაშვილი ამბობს, რომ შეხვედრაზე მიმდინარე კვირის გეგმები განიხილეს.

– შეხვედრა ბევრ საკითხს დაეთმო. დიდი დრო დაეთმო მიმდინარე კვირაში დაგეგმილ საკითხებზე საუბარს და პარლამენტის სხდომებს, მათ შორის ვისაუბრეთ იმაზე, რომ გუნდურობა ძალიან მნიშვნელოვანია და თითოეულ წევრს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ ამ გუნდის მეშვეობით მოვიპოვეთ არაერთი გამარჯვება, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი ყველას აძლევს საშუალებას, საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ.

– ის ყველას აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი პოზიციები ძალიან ღირსეულად, დემოკრატიულად და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე დააფიქსირონ, ვიმსჯელოთ და კონსენსუსამდე მივიდეთ.

ჩვენთვის გუნდურ მუშაობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ამას ვინმე კითხვის ნიშნისა და ეჭვის ქვეშ აყენებს, უშუალოდ მათ უნდა ჰკითხოთ.

ჩემთვის მნიშვნელოვანია გუნდი და გუნდური თამაში, ხალხი, ვინც აქამდე ერთად მოვედით და ბევრი გამარჯვება მოვიპოვეთ. მსურს, ამ ხალხთან ერთად წინ ვიაროთ, – აღნიშნა ოხანაშვილმა.

ანა დოლიძე: „იუსტიციის საბჭოს წევრებისგან თავდასხმებს ველოდები“

„სასამართლოსთან დაკავშირებული ყველა ნეგატივი მარიონეტ კობახიძეზე აისახება“

5 თებერვალს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ სასამართლოს თემაზე ვრცელი განცხადება გაავრცელა. განცხადებაში ყველა ის ადამიანი, არასამთავრობო სექტორი თუ პარტია ნაციონალურ მოძრაობასთან არის გაიგივებული, ვინც სისტემის გაჯანსაღებისთვის იბრძვის და სასამართლო სისტემაში კლანზე საუბრობს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს განცხადებები ნაცმოძრაობის ნარატივს წარმოადგენს.

რას ნიშნავს ეს განცხადება, ბრძოლის რა გზას აირჩევენ და ელოდება თუ არა, რომ ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რათა იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გაუშვან? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე საუბრობს.

იაგო ნაცვლიშვილი

– „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განცხადება შეაფასეთ. რა გახდა ამ განცხადების შემდეგ თქვენთვის ნათელი?

– პოლიტსაბჭოს და ირაკლი კობახიძის გაკეთებული განცხადება მსგავსი შინაარსის იყო. ამ განცხადებით „ქართული ოცნების“ ლიდერობამ პირდაპირ მხარი დაუჭირა ჩინჩალაძე-მურუსიძის კლანს. ოფიციალურად დაადასტურა, რომ ეს კლანი მან ნაციონალური მოძრაობისგან გადმოიბარა. ის გადაეფარა ადეიშვილის ნარჩენებს.

ამის ფონზე „ქართული ოცნების“ მხრიდან გამოყენებული იყო ის ტაქტიკა, რომელიც მათ არჩევნებზე გამოიყენეს. როგორც ჩანს, ეს მათ ურჩია „გენიალურმა“ პიარსამსახურმა, რომ სადაც არ უნდა წამოიჭრას პრობლემა, იქნება ეს სასამართლო სისტემა თუ სხვა, ყველგან უნდა თქვან, რომ ამ ყველაფრის უკან დგას ნაციონალური მოძრაობა.

ამისგან ხალხი ძალიან დაიღალა. იმიტომ, რომ ეს მოსაწყენია. იმიტომ, რომ თვითონ ნაციონალური მოძრაობის ნარჩენებს არის ჩაბღაუჭებული თავიდან ბოლომდე „ქართული ოცნება“ და ირაკლი კობახიძე. თუ „ქართულ ოცნებას“ არ უნდა, რომ რეალურ პრობლემებს თვალებში შეხედოს, მაშინ პრობლემები შეხედავენ მას.

– თავად ბიძინა ივანიშვილის როლი თუ დაინახეთ ამ განცხადებაში?

– ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილი ძალიან ჭკვიანურად იქცევა. ამ თემის ასახსნელად მარიონეტი კობახიძე გამოდის. ანუ, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა კარგად იცის, რომ ძალიან ბევრი ნეგატივი ახლავს ამ თემას. ჯერჯერობით მხოლოდ მარიონეტები გამოდიან, მათ შორის კობახიძე და ის საუბრობს ამ თემაზე. ამ თემასთან დაკავშირებული ყველა ნეგატივი აისახება პირადად ირაკლი კობახიძეზე. ეს ჩემთვის იმედის მომცემია.

– იმედის მომცემი რატომ?

– ეს ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ადეიშვილის ნარჩენებს პირადად რომ გადაეფაროს, ეს მას არ აწყობს.

– პოლიტსაბჭოს განცხადებაში მოყვანილი იყო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები. რეალობაა ეს მონაცემები?

– კი, უდავო რეალობაა. ვინ ამბობს ამას, რომ ჩვენ ვაიგივებთ ძველ სისტემასთან. თან მე ვაიგივებ?! მე როდესაც ნაციონალურ მოძრაობას დავუპირისპირდი, მაშინ ირაკლი კობახიძე მეცადინეობდა. სად იყვნენ საერთოდ?! 8 დეპუტატი ჰყავს „ქართულ ოცნებას“ სიაში, რომლებიც იყვნენ ნაციონალური მოძრაობის წევრი და დამფუძნებლები. ვისზე ლაპარაკობენ?!

რა თქმა უნდა, სასამართლო წავიდა ლიბერალობისკენ, მაგრამ მთავარი პრობლემა იცით რაშია? ისეთი ქსელი აქვს გადმობარებული „ქართულ ოცნებას“, რომ როდესაც მოუნდება, მაშინ გაატარებს იმ პოლიტიკას, როგორის გატარებაც მოუნდება. ამაშია მთელი საქმე და მთელი პრობლემის არსი.

– ხომ არ დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ მიხეილ ჩინჩალაძის დაწერილი განცხადება იყო?

– კი, ნამდვილად ეს შთაბეჭდილება დამრჩა. თავიდანვე ვთქვი, რომ ირაკლი კობახიძე საუბრობს ლევან მურუსიძის მესიჯებით-მეთქი. ამ მესიჯებს ერთი და იგივე ადამიანი წერს. მურუსიძე წერს ორივეს მესიჯებს თუ ვიღაც მათი წარმომადგენელი წერს, ეს არ ვიცი. მაგრამ, ფაქტია, რომ ერთი და იმავე მესიჯებს იმეორებენ.

უბრალოდ, კომპეტენცია მანდაც არ ჰყოფნით და მაგაშია პრობლემა. მათი ეს სტრატეგია ყელში ამოუვიდა ხალხს. იმის მაგივრად, რომ მართლა საქმე აკეთონ და პრობლემები მოაგვარონ, 9 წელს გაიძახიან.

– ახლა რას აპირებთ, როცა „ქართულმა ოცნებამ“ პირდაპირ თქვა, რომ ამ თემის დათმობას არ აპირებს?

– წყალგამყოფის წინაშე ვართ. ჩვენ ეს თავიდანვე ვიცოდით. მაშინაც, როდესაც უზენაესის სია ჩავაგდეთ და მაგ თემას დავუპირისპირდით. არასდროს გვქონია იმედი და მაგაზე გათვლით არასოდეს არაფერი გაგვიკეთებია რაიმე აქტი.

ახლა გახდა „ქართული ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანი, მაგრამ ჩვენ ერთი წელია, ვიბრძვით იუსტიციის საბჭოში ტელევიზიების მეშვეობით. „ქართულ ოცნებას“ ვიღაცა სჭირდება, რომ გამოფხიზლდეს, რადგან სწორ პოზიციას დაიკავებს თუ არა, ამას არ აქვს მნიშვნელობა. მაგრამ მატარებელი დაძრულია! ჩვენ ამ თემაში ვართ ჩართულები.

წინა წლის თებერვალში ვთქვი, რომ ესენი არიან ადეიშვილის ნარჩენები, ყური არ შეუბერტყია არავის. ერთადერთი კვირიკაშვილმა გააკეთა განცხადება მაშინ. ეს უნდა აღინიშნოს. ანუ ეს პროცესი, მოძრაობა სამართლიანი სასამართლოსთვის გაგრძელდება. თუ ვინმე ამას შემოუერთდება, ძალიან კარგი იქნება.

– საზოგადოების იმედი გაქვთ, რომ ჩაერთვება ამ პროცესში?

– დიახ, მხოლოდ იმის იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება ხედავს, როგორ ცემენტდება კლანები არა მარტო სასამართლოში, არამედ სხვა ინსტიტუციებშიც. კლანები ცემენტდება სასამართლოებშიც, ჭიდაობაშიც, გამოძიებაშიც, პროკურატურაში... ყველა სფეროში! რა, ფარმაცევტულ სფეროში მონოპოლიები არ არის?! ყველგან არის და ამას ხალხი ძალიან კარგად ხედავს. მგონია, რომ როგორც ხედავს ხალხი, ისე დაგვიჭერს მხარს.

– გვესმის იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრების განცხადებები – გვრიტი შვილის, მეთოფიშვილის და სხვების. საუბრობენ, რომ საერთაშორისო სტანდარტებით გეკრძალებათ პოლიტიკური განცხადებების გაკეთება. რა პასუხი გაქვთ?

– ეგენი მაგას ამბობდნენ, სანამ მარგველაშვილი მე დამნიშნავდა საბჭოს წევრად. თქვეს, რომ ანა დოლიძე აქ მოდის, რომ ააფეთქოს საბჭოო. თავიდანვე ეშინოდათ მათ ჩემი იქ შესვლის. იმიტომ, რომ იცოდნენ, არ გავატარებდი და ჩუმად არ ვიჯდებოდი. იცოდნენ, რომ არ შევეგუებოდი მურუსიძის და მსგავსი მოსამართლეების დანიშვნას.

– არ არის ის, რასაც ამბობენ?

– ჩემთვის ეს არის კომპლიმენტი. სერგო მეთოფიშვილის და დიმიტრი გვრიტიშვილის მსგავსი მოსამართლეების მიერ გაკეთებული უარყოფითი განცხადებები ჩემზე, ეს არის ინდიკატორი იმის, რომ სწორ რაღაცას ვაკეთებ.

– როდესაც ამბობენ, რომ საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება თქვენი განცხადებები, ეს ტყუილია?

– ეს თითიდან გამოწოვილია. მე გავაკეთე განცხადება თავიდან ბოლომდე კონკურსის შესახებ, რომელიც ჩატარდა. ჩვენი კანონმდებლობით მე, როგორც საბჭოს წევრს, მეკრძალება პოლიტიკური საქმიანობა. პარტიული საქმიანობა ნამდვილად მეკრძალება. კანონი რომ სხვა რამეს ამბობდეს, ესენი ერთი წელი ამას მოითმენდნენ?!

– ხომ არ ელოდებით, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რათა საბჭოდან გამოგიშვან?

– დიახ, ველოდები. ველოდები, რომ ამისთვის ყველაფერს გააკეთებენ. ველოდები, რომ საშინელებებს გააკეთებენ, ეს რა არის?! ყველანაირ მეთოდს გამოიყენებენ, კანონიერსა და უკანონოს.

ეთიკაც რომ არ აქვთ, ვნახეთ. ტყუილებსაც კადრულობენ. ესენი ყველაფერზე წამსვლელი ხალხია. მათ ჩავუშალეთ ძალიან დიდი კარიერული ნაბიჯი მე და ნაზი ჯანეზაშვილმა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მე ველოდები სხვადასხვა ფორმებით თავდასხმებს, მაგრამ ძალიან კარგად უნდა იცოდნენ, რომ პირველ რიგში, ეს მათ დააზარალებს.

„კომპანია „მეტრა დეველოპმენტი“ აგრძელებს საზოგადოების დეზინფორმაციას და მერიის სამსახურების შეცდომაში შეყვანას“

თბილისში, ბაგებში მდებარე ე.წ. „მეტრა პარკის“ საცხოვრებელი კომპლექსის მობინადრეები მედიაში კომპანია „მეტრა დეველოპმენტის“ მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმიანებიან და კომპანიას მიზანმიმართულ დეზინფორმაციაში და საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანაში ადანაშაულებენ.

– ჩვენ, მეტრა პარკის მაცხოვრებლები უკვე 1 წელზე მეტია ვცდილობთ დავიცვათ ჩვენი კანონიერი უფლებები და ხელი შევუშალოთ შპს „მეტრა დეველოპმენტის“ განზრახვას, ააშენოს 30-40 მეტრის სიმაღლის მრავალსართულიანი კორპუსები რეკრეაციულ კლდის ფერდობზე. სამწუხაროდ, „მეტრა დეველოპმენტი“ აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებს საკუთარი მაცხოვრებლების მოთხოვნებს და ჯიუტად განაგრძობს სამშენებლო ნებართვის მიღების მცდელობებს. ამასობაში კომპანია გადავიდა ყოვლად მიუღებელ, თამაშის ბინძურ წესებზე და ტოტალური სიცრუის ტირაჟირებაზე.

გვინდა, საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ პირს კიდევ ერთხელ გავაცნოთ რეალური ვითარება:

„მეტრა დეველოპმენტი“ აპელირებს და ცილს სწამებს საკუთარი კომპლექსის მობინადრეებს, რომ მათ იცოდნენ კომპანიის მიერ ბუნებრივი რეკრეაციის ადგილას დაგეგმილი 3 მასშტაბური მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობის შესახებ, ვინაიდან იგი გათვალისწინებული იყო განაშენიანების რეგულირების გეგმის 2016 წელს განხორციელებულ კორექტირებულ ვერსიაში. ჯანსაღ ლოგიკას მოკლებულია, რომ თურმე მაცხოვრებლებმა იცოდნენ დაგეგმილი ვანდალური მშენებლობების შესახებ, თუმცა მათ მაინც შეიძინეს ბინები, გადმოვიდნენ საცხოვრებლად და შემდეგ ჩაებნენ მასობრივ საპროტესტო კამპანიაში. რეალურად „მეტრა დეველოპმენტი“ საჯაროდ არსად აჟღერებდა საკუთარ განზრახვას, პირიქით, დეველოპერი საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მიუთითებს მხოლოდ 17 სახლს და ვიზუალურადაც მხოლოდ მათ წარმოგვიდგენს, იგივე შეიძლება ითქვას „მეტრა პარკი“-ს საცხოვრებელი კომპლექსის შესასვლელში განთავსებულ ე.წ. სავიზიტო ბარათზე – დიდ საინფორმაციო ბანერზე, სადაც აღნიშნულია კომპლექსის არსებული, მშენებარე და პროექტირების სტადიაში მყოფი კორპუსები, მაგრამ არსად არაა ნაჩვენები ის 3 მრავალსართულიანი კომპლექსისთვის შეუფერებელი კორპუსი, რომელთა აშენებასაც კომპლექსის მოსახლეობა აქტიურად აპროტესტებს.

კეთილი ნებისა და განზრახვების არსებობის შემთხვევაში, კომპანიას უბრალოდ შეეძლო წარედგინა ინფორმაცია არსებული და პოტენციური მობინადრეებისათვის საკუთარი გეგმების შესახებ, რაც მათ არ გააკეთეს, ვინაიდან რეალურად ჯერ სურდათ გასაშენებელი კლდის ფერდობის მომიჯნავე საცხოვრებელ ზოლში დასრულებული ბინების სრულად გასხვისება სწორედ არსებული ბუნებრივი რეკრეაციის აფიშირებით და უკვე შემდგომ, ახალი 3 გაცილებით მასშტაბური კორპუსის პროექტის ინიცირება, რომელსაც დეველოპერის მხრიდანვე რეკლამირებული ბუნებრივი ლანდშაფტი უნდა შეეწიროს.

„მეტრა დეველოპმენტი“ გასული წლის განმავლობაში მიმდინარე სამართლებრივი დავების ფონზე ინტენსიურად ცდილობდა დაეკნინებინა მაპროტესტებელთა რაოდენობა და ყველა მიმართულებით წარმოედგინა, რომ ეს არის მხოლოდ რამდენიმე მოსახლის „ჯიუტი ახირება“, თუმცა რეალურად ოფიციალურ პროტესტს ხელმოწერებით უკვე შეუერთდა 50-ზე მეტი მოსახლე, მათ შორის, ბინების როგორც წინამორბედი კომპანია „იბერიასგან“ შემძენი, ისე უშუალოდ მეტრა დეველოპმენტისგან შემძენი მობინადრეები და სადღეისოდ იშვიათად თუ შეიძლება მოიძებნოს მობინადრე, რომელიც არ ეწინააღმდეგება კომპანიის ამ განზრახვას.

მობინადრეები ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებენ, რომ მათი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ოჯახების უსაფრთხოების დაცვაა, როცა საცხოვრებელი კომპლექსის არსებული 4 სართულიანი სახლების ზოლიდან 10 მეტრის რადიუსში მდებარე ციცაბოდ დახრილ, 200-მდე ხე-ნარგავით დაფარული კლდის მასივის მასიურ (15 მეტრის სიღრმეზე)

ჭრა-ნგრევას და კომპლექსისთვის შეუსაბამო 30-40 მეტრის სიმაღლის 3 კორპუსის მშენებლობის მცდელობას აპროტესტებენ. „ეს საცხოვრებელი კომპლექსია და არა ბუნებრივი წიაღისეულის მომპოვებელი დიდი კარიერი 30,000-40,000 კუბური მეტრის მოცულობით კლდის მასივების ნგრევით, მით უმეტეს, ამას არსებული ბუნებრივი ლანდშაფტი და ასეულობით ხე-ნარგავი ეწირება“ – აცხადებენ „მეტრა დეველოპმენტის“ ვანდალური მშენებლობის გეგმებით აღშფოთებული მცხოვრებლები. რა თქმა უნდა, ამ დეტალებს დეველოპერული კომპანია არ ახმაურებს და მედიაში უტიფრად მხოლოდ 9 ხის გადარგვაზე საუბრობს.

მობინადრეები ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ მათთვის ყოვლად მიუღებელია „მეტრა დეველოპმენტის“ განცხადება, სადაც კომპანია ეჭვის დონეზე ცილს სწამებს საკუთარ მოსახლეობას პოტენციურ ფინანსური სარგებლის მიღების მცდელობის თაობაზე და ასევე აღნიშნავს, რომ თურმე მოსახლეობის სურვილი დეველოპერის დისკრედიტაციაა. არანაირი ფინანსური ინტერესი და დისკრედიტაციის სურვილი მოსახლეობას, რაღა თქმა უნდა, არ გააჩნია, ან როგორ უნდა გინდოდეს საკუთარი საცხოვრებელი კომპლექსის დისკრედიტაცია?! პირიქით, მოსახლეობა ამ კომპლექსში ცხოვრობს და დაინტერესებულია საკუთარი საცხოვრებლის კარგი რეპუტაციით, მაგრამ სამწუხაროდ, „მეტრა დეველოპმენტი“ მობინადრეთა ინტერესებს და უსაფრთხოებას არაფრად აგდებს და მათ საკუთარი ოჯახების დაცვის არანაირ გზას არ უტოვებს სამართლებრივი გზების გარდა.

ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე მოსახლეობისთვის აშკარა ხდება, რომ „მეტრა დეველოპმენტი“ საკუთარ მცხოვრებელს მხოლოდ ფინანსური სარგებლის წყაროდ აღიქვამს და სამწუხაროა, მაგრამ ეს საფრთხის შემცველი სიგნალია კომპლექსის მომავალი მომხმარებლებისთვისაც. კომპანიის ხელმძღვანელობა მობინადრეთა საწინააღმდეგო განცხადებას აკეთებს იმ ფონზე, როდესაც კერძო საუბრებში ისინი პირიქით ცდილობენ მოსახლეობის გარკვეულ შეთავაზებებზე დაყოლიებას და „გაჩუმებას“.

– მოსახლეობა მკაცრად ვგმობთ კომპანიის ამ განცხადებას და ვაფიქსირებთ, რომ მობინადრეების მიერ არასოდეს გაჟღერებულა ფინანსური ინტერესი კომპანიის მიმართ და არც არასოდეს გაჟღერდება! ვერანაირი ფინანსური სარგებელი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეაჩერებს ჩვენ პროტესტს და ჩვენი მოთხოვნა ყოველთვის დარჩება ერთადერთი – ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო გარემოში! – აცხადებენ მცხოვრებლები.

საკითხი უკვე საკმაოდ გახმაურებულია და იმედია თბილისის მერია და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები შესაბამისად შეისწავლიან საეჭვო ვითარებაში დამტკიცებულ გრგ-ს ცვლილებების საკითხებს თავისი თანმდევი ბევრი საეჭვო და შეუსაბამო დოკუმენტაციით, რომელსაც დეველოპერი პერიოდულად აწვდიდა და აწვდის მერიის სამსახურებს. სახეზე დანაშაულის ნიშნების შემცველი გარემოებებია, რომელზეც მოსახლეობამ თავისი ოფიციალური წერილებით უკვე მიუთითა და მათზე რეაგირების ვალდებულება კანონმდებლობით ეკისრებათ მერიის და სხვა სათანადო სახელმწიფო ორგანოების სამსახურებს. იმედია, მერიის სამსახურები იქნებიან მაქსიმალურად მკაცრები და სამართლიანები, პროექტის ყველა ხარვეზსა და შეუსაბამობას სააშკარაოზე გამოიტანენ და მობინადრეთა ინტერესებისა და უსაფრთხოების საპირისპიროდ არ გასცემენ სამშენებლო ნებართვებს აღნიშნულ ვანდალურ, ქალაქისთვის შეუსაბამო და საფრთხის შემცველ მშენებლობებზე.

აღიარებს თუ არა თბილისი აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობას

ოკუპირებულ ტერიტორიებზე საბაჟო-გამშვები პუნქტების გახსნა იგეგმება

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან დათმობა-დათბობის პოლიტიკას რომ აწარმოებს, ეს ყველამ იცის. ამ დათმობის ხარისხით თვით რუსული მედიაც კი გაოგნებულია.

გამოცემა „რამბლერ ფინანსების“ ცნობით, საქართველო რუსეთთან მნიშვნელოვან დათმობაზე მიდის.

„რამბლერ ფინანსების“ მტკიცებით, გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ საქართველო მოსკოვთან მნიშვნელოვანი სავაჭრო ხელშეკრულების ნაწილის შესასრულებლად მზაობას გამოხატავს, რომელიც პირდაპირ თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რესპუბლიკების აღიარებას უკავშირდება და რომელზეც საქართველო ბოლო 8 წელი არას ამბობდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს, ჯერჯერობით, ოფიციალურად არა აქვს განცხადება გაკეთებული, მაგრამ მზადება მიმდინარეობს. საუბარია 2011 წლის 9 ნოემბერს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საბაჟო პუნქტების გახსნას გულისხმობს.

ჟენევის მოლაპარაკებებზე, ქართული მხარის პოზიციით, საბაჟო პოსტები როკის გვირაბთან და მდინარე ფსოუსთან უნდა განთავსებულიყო, რასაც მოსკოვი კატეგორიულად არ ეთანხმებოდა, რადგანაც ის 2008 წელს მის მიერ აღიარებული თვითგამოცხადებული რესპუბლიკების სუვერენიტეტს ლახავდა და საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადადიოდა.

რადგანაც რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს, კომპრომისის სახით საუბარი იყო, საკითხის გადაწყვეტაში შვეიცარიის წარმომადგენლობა ჩართულიყო. გასული წლის მაისში ჟენევაში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ტვირთების მონიტორინგს შვეიცარული კომპანია Societe Generale de Surveillance განახორციელებს. თუმცა, ისევ გაურკვეველი დარჩა პუნქტების ადგილმდებარეობა. თბილისს არ მიუღია არც ერთი შეთავაზებული სცენარი.

„რამბლერ ფინანსების“ ინფორმაციით, ახლა თბილისი დათანხმდება საბაჟოს თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან არსებული დროებითი საზღვრების გახსნაზე, რაც ფაქტობრივად დე-ფაქტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების სუვერენიტეტის სრულ აღიარებას ნიშნავს.

– თუმცა, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს უკვე სერიოზული დათმობაა, რაც დიპლომატიური დამარცხების ტოლფასია. ამ დინამიკით, აფხაზური და სამხრეთოსური საბაჟო პუნქტების არსებობა, რუსულიდან ერთ მეტრში, დროის საკითხია და, ფაქტობრივად, მათი იურისდიქციის აღიარებაც სრულიად შესაძლებელია. და თუკი საქართველო საკითხის პოლიტიკურ ასპექტებზე საუბარს არ აპირებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ დროებითია, – აღნიშნულია „რამბლერ ფინანსებში“ გამოქვეყნებულ სტატიაში.

რუსულ მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი გამოეხმაურა.

მინისტრის განმარტებით, რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის მცდარი. ამბობს, რომ ამის გავრცელება მიზანმიმართულად ხდება.

– ეს არის მორიგი დეზინფორმაცია, რომელსაც ავრცელებს რუსული მედია და მას მხარს უჭერენ ჩვენი ოპონენტები, ოპოზიციონერები და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი. კატეგორიულად მიუღებელია ასეთი მსჯელობა, რადგანაც მას არაფერი აქვს საერთო რეალობასთან და სინამდვილესთან, – აღნიშნავს საგარეო უწყების ხელმძღვანელი.

ზალკალიანმა 2011 წელს საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმების დეტალებზეც გააკეთა განმარტება. მისი თქმით, ეს შეთანხმება კერძო შვეიცარული კომპანიის მიერ საქართველოსა და რუსეთს შორის ტვირთბრუნვის მონიტორინგს ითვალისწინებს.

ზალკალიანის თქმით, აღნიშნულ შეთანხმებას არანაირი კავშირი არ აქვს რაიმე სახის საბაჟო ტერმინალების განთავსებასთან.

აღნიშნულ საკითხზე, მინისტრის თქმით, მომავალშიც გაგრძელდება შეხვედრები ქართულ და რუსულ მხარეებს შორის.

– ველით, რომ მოხდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც იქნება განხილული ყველა ტექნიკური საკითხი. საქართველოს დელეგაციაში იქნებიან შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები და ჩვენი ეს პოზიცია ძალიან მკაფიოდ იქნება გაჟღერებული ამ შეხვედრაზე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არაფერი საერთო ამ დეზინფორმაციას არა აქვს რეალობასთან, – აღნიშნავს ზალკალიანი.

საგარეო უწყების ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ამ დრომდე არ მომხდარა და არც მომავალში არ იგეგმება ასევე ზემოაღნიშნული შეთანხმების რევიზია ან გადახედვა.

– არ მომხდარა არანაირი რევიზია დადებული შეთანხმების და არც იგეგმება. ყველაფერი

რუსული მედია სკანდალურ ინფორმაციას აქვეყნებს

ხორციელდება 2011 წელს ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში და არანაირი საბაჟო ტერმინალების განთავსება არ განიხილება საერთოდ შეთანხმებული კორიდორების მიღმა. ეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა, – ამბობს მინისტრი.

❖ ❖ ❖

ქართული მხარის თავის მართლების ფონზე, რუსები აფხაზეთში სერიოზულ სამუშაოებს იწყებენ.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღში, რომელიც ზუგდიდიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში მდებარეობს, რუსეთი ღრმაწყლოვანი პორტის აშენებას აპირებს. ამის შესახებ „თაიმერს“ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა განუცხადეს.

მათი თქმით, ადგილზე მძიმე ტექნიკა მუშაობს, მანამდე კი წინასწარი სახის სამუშაოები ჩატარდა. მშენებლობის ტერიტორიაზე მობილიზებულნი არიან რუსეთის სპეცსამსახურები. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ კინდღში, რომელიც ანაკლიიდან 80 კილომეტრში მდებარეობს, რუსეთი პორტს სამხედრო გემებისთვის აშენებს.

ბახტაძემ გახარიას მოადგილედ ვლადიმერ ბორცვაძე დაუნიშნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ვლადიმერ ბორცვაძე დაინიშნა.

ვლადიმერ ბორცვაძე დაიბადა 1982 წელს, ქალაქ გორში.

2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

ვლადიმერ ბორცვაძემ სამართალდაცვით სფეროში კარიერა 2006 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის სტაჟიორის პოზიციიდან დაიწყო;

2006 წლიდან 2007 წლამდე მუშაობდა მცხეთის რაიონულ პროკურატურაში პროკურორად;

2007-2009 წლებში იყო შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი;

2009– 2010 წლებში საქმიანობა განაგრძო საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის პოზიციაზე;

2010-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად;

2012-2013 წლებში იგი ხაშურის რაიონული პროკურორი იყო;

2013 წლიდან 2016 წლამდე ვლადიმერ ბორცვაძე საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

2016-2018 წლებში იგი საქართველოს მთავარ პროკურატურაში ამავე დეპარტამენტის დირექტორი იყო.

2018 წლის აპრილში ვლადიმერ ბორცვაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა;

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ბინების გაყიდვა ახალმა საბანკო რეგულაციებმა 50%-ით შეამცირა

2018 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედებულმა საბანკო რეგულაციებმა, რომლის მიხედვითაც მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების გარეშე, სესხის გაცემა შეიზღუდა, სამშენებლო სექტორი უკვე მნიშვნელოვნად დააზარალა. კერძოდ, როგორც დეველოპერების ნაწილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, ერთი თვის განმავლობაში მათი გაყიდვები 50%-მდე შემცირდა, ნაწილის შემთხვევაში კი საერთოდ შეჩერდა. მათივე თქმით, ასეთ პირობებში ბიზნესი განვითარებას წყვეტს და იძულებულია, მომავალში მასშტაბური პროექტების განხორციელებისგან თავი შეიკავოს.

ცნობისთვის, 2019 წლის 1-ელი იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება – „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ“, რომლის მიხედვითაც სესხის გამცემ ყველა ორგანიზაციას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასება დაევალა. დებულების მიხედვით, სუბიექტი ფიზიკურ პირზე იმაზე მეტ სესხს ვეღარ გასცემს, რისი გადახდის რეალური შესაძლებლობაც მოქალაქეს არ ექნება. ამასთან, დებულებით დგინდება, თუ რა ხანგრძლივობის შეიძლება იყოს ამა თუ იმ ტიპის სესხი. მაგალითად, იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად 15 წელი განისაზღვრა.

დეველოპერები „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ცალსახად ვერ ამბობენ, რომ რეგულაციები საჭირო არ იყო, თუმცა აღნიშნავენ, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები ბიზნესთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს, რათა შედეგები ნაკლებად მტკივნეული იყოს და ამასთან, სექტორის განვითარებისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად არ გადაიქცეს.

– საბანკო რეგულაციები ნამდვილად აისახა ბიზნესზე და გაყიდვები 50%-ით შემცირდა. ამ სფეროში რამდენად საჭირო იყო საბანკო რეგულაციები, არ ვიცი. თუ მოქალაქე 30%-ს წინასწარ ვერ გადაიხდიდა, ისედაც ვერ ყიდულობდა ბინას, – აცხადებს „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას დეველოპერული კომპანია ბინადარის აღმასრულებელი დირექტორი გოგა ტალახაძე.

რეგულაციების შედეგად გაყიდვების შემცირებაზე საუბრობს კომპანია ივერიონის დამფუძნებელიც. როგორც არჩილ ჯაყელი „ბიზნესპრესნიუსთან“ აღნიშნავს, სესხებზე წვდომა არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ თავად ბიზნესსაც შეეზღუდა, რამაც სექტორის განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა.

– გაყიდვები რამდენით შემცირდა, კონკრეტულ ციფრს ახლა ვერ გეუბნებით, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ ამ მიმართულებით პრობლემა არსებობს. გარდა ამისა, მომხმარებლებთან ერთად სესხის აღება ბიზნესისთვისაც გართულდა, რაც მის განვითარებას კიდევ უფრო აფერხებს.

მეორე მხრივ რომ შევხედოთ, როდესაც სესხს იღებს მოქალაქე, დებს სახლს, მერე ვერ იხდის და ამ სახლსაც კარგავს, ესეც თავისთავად პრობლემაა. რაც შეეხება დეველოპერებს, როდესაც სექტორში ისედაც ამდენი რეგულაციები მოქმედებს და ამას ემატება გაყიდვების შემცირებაც, ბიზნესი ველარ ვითარდება. ადრეც გითხარით, ამის შედეგად ბინებზე ფასები მოიმატებს. შეიძლება უახლოეს პერიოდში არა, მაგრამ ეს გარდაუვალია, რაც საბოლოო ჯამში, ისევ მომხმარებლებს და დეველოპერებს არ არგებს, – აცხადებს არჩილ ჯაყელი.

„ივერიონის“ დამფუძნებელის თქმით, აღნიშნულ ვითარებაში დეველოპერულ კომპანიებს მასშტაბური პროექტებზე უარის თქმა და შედარებით ნაკლებად „რისკიანზე“ დაფიქრება უწევთ.

– ამ ეტაპზე ჩვენ უკვე განვითარების დიდი პერსპექტივებზე და მასშტაბურ პროექტებზე უარის თქმა გვიწევს. იძულებული ვართ, რაც გვაქვს იმ მინიმალურ პროექტებს მივხედოთ და მერე უკვე ისეთ პროექტებზე ვიფიქროთ, რასაც მოვერევით და დაზღვეულები ვიქნებით. იმიტომ, რომ დეველოპერულ სექტორზე სხვა ბიზნესია მიბმული, ამასთან, ათასობით ადამიანია დასაქმებული და როდესაც ვერ ვითარდები, მერე სხვა გამოწვევები დგება მარტო ჩვენი კი არა, მთლიანად ქვეყნის წინაშე. ამიტომ, ვფიქრობ, რეგულაციების მიღებისას ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ნებისმიერი საკითხი ბიზნესთან უნდა იყოს შეთანხმებული, რათა ნაკლებად მტკივნეულად განხორციელდეს, – აცხადებს არჩილ ჯაყელი.

დეველოპერულ კომპანია „მეგობრობაში“ აცხადებენ, რომ ახალმა რეგულაციებმა სამშენებლო ბიზნესზე უარყოფითი გავლენა მოახდინა და მეტიც, კონკრეტულად მათი კომპანიის შემთხვევაში ეს შედეგი კატასტროფულია, რადგან იანვრის თვიდან მოყოლებული, კომპანიას არც ერთი ბინა გაყიდული არ აქვს.

– რეალურად, თუკი აქამდე დაინტერესებულ პირს გააჩნდა ბინის ღირებულების 30%, ბანკი მას შემოსავლების შესწავლისა და დადასტურების გარეშე თანხას აძლევდა, ახლა კი ეს პირობა ცალსახად მოხსნილია. ამ ეტაპზე აღნიშნული პირობით მხოლოდ ემიგრანტები სარგებლობენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ბინის ღირებულების მინიმუმ 40% გააჩნიათ და ჰყავთ თავმდები პირი, სხვა შემთხვევაში სესხი არც მათზე აღარ გაიცემა. 1-ელი იანვრიდან ბინის შეძენით დაინტერესებულ პირებს მინიმუმ შემოსავლის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელიც უნდა ჰქონდეთ და ხელფასიდან აღებული თანხის 20% ყოველთვიურ გადასახადში უნდა ჰყოფნიდეთ.

– ვერ ვიტყვით, რომ კომპანია „მეგობრობას“ დაინტერესებული ადამიანების რიცხვი მოაკლდა, თუმცა ფაქტია, რომ ამ პირობების გამო, რეალურად ბინას ველარავინ ყიდულობს. მიუხედავად იმისა, რომ მომავალ მობინადრეებს მეტწილად გარკვეული თანხა ხელზე აქვთ, ახალი რეგულაციების გამო ბინის შეძენას მაინც ვერ ახერხებენ. ასე თუ გაგრძელდა, სამშენებლო ბიზნესი ჩაძირვის საშიშროების წინაშე დადგება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში უამრავი ადამიანი უმუშევარი დარჩება, ხოლო დეველოპერები გაკოტრდებიან, – აცხადებს კომპანია „მეგობრობის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სალომე სარიშვილი.

რატომ გაჩერდა კომპანია „ბეიკერი“, რომელიც პატიმრებისთვის პურს აცხობდა

მამუკა ტუსკაძე: „მასა და იუსტიციის სამინისტროს შორის შავმა კატამ გაირბინა“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ პენიტენციური სისტემის საცხობებში მომუშავე პატიმრები სამუშაოდან გაათავისუფლეს.

– ბატონო მამუკა, თქვენი განცხადება წავიკითხე, რომელიც ციხეში დასაქმებულებს შეეხება. რა პრობლემა აქვთ ციხეებში დასაქმებულებს?

– კახიშვილის მინისტრობის დროს კომპანია „ბეიკერს“ გადაეცა უფლება და მან ციხეში შეძლო შეექმნა გარკვეული ინფრასტრუქტურა შენობა-ნაგებობებითა და სხვა ინფრასტრუქტურით.

კომპანიამ იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი. გარდა იმისა, რომ თვითონ გააკეთა ყველაფერი და 60-ზე მეტი პატიმარი ჰყავდა დასაქმებული, ბიუჯეტშიც გარკვეულ თანხებს იხდიდა. მსჯავრდებულები აცხობდნენ პურს და ამაში ხელფასს იღებდნენ. პატიმარს შეეძლო, თავიც ერჩინა და გარკვეული დანაზოგი ოჯახშიც გამოეგზავნა.

რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდნენ ციხიდან ის პირები, რომლებიც გაათავისუფლეს. მათ, გარდა იმისა, რომ გული სწყდებათ, რომ ვეღარ იმუშავებენ, ერთი თვის ხელფასიც ასაღები დარჩათ. არ იციან, „ბეიკერი“ ბოლო თვის ხელფასს როდის ჩაურიცხავს.

ჩემი ინფორმაციით, კომპანია „ბეიკერმა“, რომელიც წარმატებით ახორციელებდა აღნიშნულ პროექტს, რატომღაც კონკრეტული დაწესებულების ათამდე მსჯავრდებული სამსახურიდან დაითხოვა. სავარაუდოდ, სხვა დაწესებულებებშიც მოხდა მსგავსი ფაქტი, სადაც „ბეიკერი“ პროექტს ახორციელებდა.

– კომპანიასთან კომუნიკაცია ხომ არ გქონიათ?

– არ მქონია და არც ვაპირებ დაკავშირებას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მივმართავ, მოიკვლიონ აღნიშნული ფაქტი და თუ დადასტურდა, გვაცნობონ, რატომ დატოვა „ბეიკერმა“ პენიტენციური სისტემა, რატომ დაემშვიდობა პატიმრებს?

„ბეიკერის“ წარმომადგენელმა უთხრა პატიმრებს, ჩვენი პროექტი დამთავრდა, ჩვენ მეტად ვეღარ ვიმუშავებთო. გამოდის, რომ 60-მდე პატიმარი დარჩა უსამსახუროდ და უხელფასოდ. ეს არ არის კატასტროფა, მაგრამ ცუდი ამბავია.

მე კითხვები მაქვს ქალბატონ თეა წულუკიანთან და „ბეიკერის“ წარმომადგენლებთან – მსჯავრდებულებს და მსჯავრდებულთა უფლებადაცვით საკითხებზე მომუშავე საზოგადოებას გვაინტერესებს, რა ხდება? რატომ ხდება და რა იყო პატიმრების გათავისუფლების მიზეზი?

– ვერსია არ გაქვთ, თუ რატომ შეიძლება ხდებოდეს ეს?

– ვერსიები შეიძლება გვაქვს. ეს ისეთი სისტემაა, შეიძლება რაღაც დივერსიის საფუძველი გახდეს.

– „ბეიკერი“ თავის დროზე კონკურსის წესით თუ ტენდერით შეირჩა?

– ამ კომპანიამ ტენდერში გაიმარჯვა.

– ვისი ორგანიზაციაა?

– ეს არის ჩვეულებრივი შპს. შეიკრიბა რამდენიმე ადამიანი და გააკეთა ბიზნესი, ისინი საცხობის ბიზნესით იყვნენ დაკავებული და, ბუნებრივია, ამ ბიზნესით შევიდნენ პენიტენციურ სისტემაში. უფლება მიეცათ, მოეხდინათ ინვესტირება, სისტემაში შეექმნათ მინი ქარხნები.

– ამ მინი ქარხნებში მომუშავე პატიმრებს ხელფასი რამდენი ჰქონდათ?

– თვეში 300 ლარი გამოსდიოდათ. 300 ლარი ზოგს ციხის გარეთ არ აქვს ხელფასი. ჩემი ვერსიით, აშკარაა, რომ იუსტიციის სამინისტროსა და „ბეიკერს“ შორის შავმა კატამ გაირბინა. მათ ჭიდილში მსჯავრდებულები ზარალდებიან.

– პატიმრებს პური ნორმალურად მიეწოდებათ?

– პატიმრებს პური მიეწოდებათ. რაღაც ერთსაათიანი შეფერხება იყო. პირდაპირი შესყიდვის წესით ხდება პურის შესყიდვა და მიწოდება პატიმრებისთვის. პატიმრების გამომცხვარი პური 5 თეთრით ნაკლები ღირდა.

– რადგან თქვენ ამბობთ, შესაძლოა, „ბეიკერსა“ და იუსტიციის სამინისტროს შორის შავმა კატამ გაირბინაო, ანუ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება იყო?

– მე ამას ვვარაუდობ, რადგან „ბეიკერი“ არის ბიზნესსუბიექტი, რომელიც აწყობილ ბიზნესს ასე უბრალოდ არ მიატოვებს. ეს პროექტი ზარზეიმით მივიღეთ მაშინ, თუმცა, საბოლოოდ, ცუდად დამთავრდა.

– სხვა მხრივ, რა მდგომარეობაა პენიტენციურ სისტემაში?

– სხვა მხრივ პენიტენციურ სისტემაში იდეალური მდგომარეობაა. კახიშვილის შემდეგ არაფერი კეთდება, მაგრამ იმდენი რამ გაკეთდა კახიშვილის დროს, რომ არსებული სისტემა დიდხანს იმუშავებს.

ჩვენ გვაქვს უნიკალური მაგალითი იმისა, რომ ბრიტანეთის მოქალაქემ, რომელიც საქართველოში დააპატიმრეს, საქართველოს ციხეში დარჩენა არჩია იქ დაბრუნებას.

თუმცა, მე, როგორც პატიმრების უფლებების დამცველს, მსურს, ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ პატიმრების რესოციალიზაციას. მეტი სოციალური პროექტები განახორციელონ.

სწავლებებია საჭიროა. ასევე, მეტი ციხე უნდა აშენდეს და იქ პატიმრები გადანაწილდნენ. არ შეიძლება ათასკაციანი ზონები. მაქსიმუმ 300 კაციანი ზონები უნდა იყოს.

– ერთ ზონაში 1.000 პატიმარია?

– დიახ, ზოგ ზონაში ასეა. მაგალითად, გეგუთში 1.500 პატიმარიც არის.

„კულა“ უკრაინიდან თაფლის შემოტანას უარყოფს – რომელ მეფუტკრეებს გაუფორმებს კომპანია ხელშეკრულებას



„კულა“ უკრაინიდან თაფლის შემოტანას უარყოფს – რომელ მეფუტკრეებს გაუფორმებს კომპანია ხელშეკრულებას

„კულას“ დირექტორი ივანე გოგლიძე უარყოფს ინფორმაციას, თითქოს სახელმწიფო შესყიდვების მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ, საქართველოში უკრაინულ თაფლს შემოიტანს.

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ სახელმწიფო ტენდერიდან კომპანია „ვ.ტ“ -ს დისკვალიფიკაციის მიზეზი რუსული თაფლი გახდა, დღეს კი ქართველი მეფუტკრეები დაუდასტურებელი ინფორმაციის საფუძველზე ეჭვს გამოთქვამენ, რომ შესაძლოა, „კულამ“, ადგილობრივის ნაცვლად, უკრაინიდან შემოტანილი თაფლი გამოიყენოს. ამის შესახებ მეფუტკრეებმა განცხადება კომერსანტის საშუალებით გაავრცელეს.

– უცხოეთიდან შემოტანილი თაფლი იბეგრება დღგ-თი, საქართველოში წარმოებული თაფლი არ იბეგრება. თაფლის შემოტანასა არ ვაპირებთ და არც გვინდა. ტენდერში განაცხადი გვაქვს გაკეთებული, რომ ქართულ თაფლს შევიტანთ, – განმარტავს ივანე გოგლიძე.

განცხადებაში საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება აღნიშნავს იმასაც, რომ მზადაა ითანამშრომლოს „კულასთან“ და დაეხმაროს მას შესყიდვების გამჭვირვალედ და ეფექტურად წარმართვაში. თუმცა, მეფუტკრეები აცხადებენ, რომ კომპანიასთან დაკავშირება ვერ მოახერხეს.

„კულას“ დირექტორი „კომერსანტთან“ საუბარში განმარტავს, რომ ქართველ მეფუტკრეებთან დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებს. ტენდერი ახლა შერჩევის ეტაპზეა და იმ შემთხვევაში, თუ „კულა“ სახელმწიფო შესყიდვაში გაიმარჯვებს, კომპანია განცხადებას გაავრცელებს, სადაც ქართველ მეფუტკრეებს თანამშრომლობას შესთავაზებს.

– თაფლი უნდა იყოს შემოწმებული და ლაბორატორიულად უნდა იყოს დასკვნები გაკეთებული. ამიტომ, ვისაც ურთიერთობა უნდა ჩვენთან, ვთხოვთ, რომ წარმოადგინონ ნიმუში და შესაბამისი დასკვნა, რომ პროდუქტი არის ნატურალური. მემორანდუმი უკვე გაფორმებულია რამდენიმე მომწოდებელთან. ესენი არიან კახეთის რეგიონიდან, რაჭიდან. ახლა ვეძებთ წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკის თაფლს. ჩვენ გვინდა ყველა რეგიონიდან შევისყიდოთ. ვინ მოგვიტანს თაფლს, არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია იყოს ქართული. მემორანდუმი მომწოდებლების დაახლოებით 50 პროცენტთან უკვე გაფორმებულია, დარჩენილ 50 პროცენტს კი დაახლოებით მაისში გავუფორმებთ, – განმარტავს ივანე გოგლიძე.

ქართული თაფლი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობას 1.024.800 ლარის ღირებულების 73.200 კგ რუსული თაფლი უნდა შეესყიდა. აქედან 25 ათას კგ-ს – შსს, 14.600 კგ-ს – სასაზღვრო პოლიცია, 3.000 კგ-ს – სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი, 600 კგ-ს – საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, ხოლო 30 ათას კგ-ს კი სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა შეიძენდა.

სატენდერო დოკუმენტაციით ირკვეოდა, რომ შპს „ვ.ტ“, რომელმაც ყველაზე დაბალი თანხა – 14 ლარი დააფიქსირა 1 კგ თაფლზე – თაფლის იმპორტს რუსეთიდან განახორციელებდა. ამ თემაზე „კომერსანტი“ აქტიურად მუშაობდა. სწორედ ჩვენს გამოცემას განუცხადეს პირველად ქართველმა მეფუტკრეებმა, რომ, თუ სახელმწიფო რუსულ თაფლს შეისყიდდა, ისინი საპროტესტო აქციებს გამართავდნენ.

საპენსიო სააგენტო: საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხა ჯერჯერობით ინვესტირებისთვის საკმარისი არ არის

ბოლო მონაცემებით, საპენსიო დანაზოგის სახით, 36 მილიონი ლარია მობილიზებული. საპენსიო სააგენტოს ინფორმაციით, დეკლარაციების დახურვის შემდეგ თანხის მოცულობა 40-45 მლნ ლარამდე გაიზრდება.

– საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხა ამ ეტაპზე ნომინალურ ანგარიშებზე ინახება. იმისთვის, რომ საპენსიო ფონდში არსებული თანხის ინვესტირება მოხდეს, საჭიროა შეიქმნას საინვესტიციო საბჭო და ასევე ფონდში აკუმულირდეს საკმარისი თანხა დივერსიფიცირებულ, დაბალი რისკის მქონე პორტფელებში ინვესტირებისთვის,

– აცხადებენ საპენსიო სააგენტოში.

მათივე ინფორმაციით, კონკრეტულად არაა განსაზღვრული, რამდენი თანხა უნდა იყოს ფონდში, რომ ინვესტირება განხორციელდეს, თუმცა ამ ეტაპზე საპენსიო ფონდში არსებული თანხა ინვესტირებისთვის საკმარისი არ არის.

„კომერსანტის“ კითხვაზე – როდის შეიქმნება საპენსიო საბჭო? – სააგენტოში კონკრეტულ თარიღს ვერ ასახელებენ, თუმცა აცხადებენ, რომ საბჭო მაქსიმუმ ორი თვის ვადაში ჩამოყალიბდება.

– საინვესტიციო საბჭო უახლოეს ორ თვეში დაკომპლექტდება და სწორედ ის განსაზღვრავს საინვესტიციო სტრატეგიას. საინვესტიციო საბჭოს წევრები კონკურსის წესით შეირჩევა და პროცესი გამჭვირვალედ წარიმართება. საბჭო მაღალკვალიფიციური, შესაბამისი გამოცდილებისა და განათლების მქონე კადრებით დაკომპლექტდება, მათი ანაზღაურებაც შესაბამისად მაღალი იქნება, ამიტომ სანამ გარკვეული მოცულობის საინვესტიციო თანხა არ აკუმულირდება, სააგენტო ხარჯს ვერ გაწევს ამ მიმართულებით, – განაცხადეს საპენსიო სააგენტოში.

საპენსიო სააგენტოში უახლოეს 2 წელიწადში მილიარდ ნახევარი ლარის, ხოლო 6 წელიწადში 5 მილიარდ ლარამდე საპენსიო დანაზოგის აკუმულირებას ელოდებიან. კანონით განსაზღვრულია, რომ საპენსიო დანაზოგების ინვესტირება ვერ მოხდება პროექტებში და ინვესტირება მხოლოდ დაბალი რისკის შემცველ ფასიან ქაღალდებში შეიძლება.

1 იანვრიდან 2%-იანი საპენსიო შენატანის გადახდა ყველა დასაქმებულს, მის დამსაქმებელსა და სახელმწიფოს დაევალა. დასაქმებული, რომელსაც 2018 წლის 6 აგვისტომდე 40 წელი შეუსრულდა, 1 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით საპენსიო სქემიდან გასვლას შეძლებს. ამ შემთხვევაში მას, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს განხორციელებული საპენსიო შენატანები სრულად დაუბრუნდებათ.

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს ალბათ დავით ონოფრიშვილი უხელმძღვანელებს

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს ალბათ დავით ონოფრიშვილი უხელმძღვანელებს

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე დავით ონოფრიშვილის კანდიდატურა განიხილება. ინფორმაცია ამის შესახებ ბმ.გე-ს თავად დავით ონოფრიშვილმა დაუდასტურა.

მისი თქმით, მის კანდიდატურაზე ნამდვილად მიდის საუბარი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

– არის ამაზე საუბარი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, – აცხადებს დავით ონოფრიშვილი.

კითხვაზე – რა დროში გადაწყდება დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე მისი დანიშვნის გადაწყვეტილება, ონოფრიშვილი პასუხობს, რომ ეს მაშინ გაირკვევა, როცა პრემიერი შესაბამის გადაწყვეტილებას ხელს მოაწერს.

აღსანიშნავია, რომ დავით ონოფრიშვილია ავტორი იმ საკანონმდებლო ინიციატივისა, რომლის მიხედვითაც დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს გამოეყო.

შეგახსენებთ, რომ დავით ონოფრიშვილი პარლამენტის წევრი იყო და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. მანამდე ის იყო ფინანსთა მინისტრი, მუშაობდა ეროვნულ ბანკში, „საქართველოს რკინიგზაში“. ბოლოს ის კასპში, სალომე ზურაბიშვილის შტაბს ხელმძღვანელობდა.

ბიემჯი

სიგარეტი ისევ გაძვირდა

მომხმარებლებს სიგარეტი, მინიმუმ, 40 თეთრით გაძვირებული დახვდათ. როგორც მწეველები ამბობენ, გაძვირდა თითქმის ყველა დასახელების სიგარეტი.

მიმდინარე წელს სიგარეტი უკვე მეორედ გაძვირდა. 2019 წლის პირველი იანვარს თამბაქოზე გაზრდილი აქციზური გადასახადის გამო, სიგარეტმა დაახლოებით, 30-40 თეთრით მოიმატა. უცნობია, გაძვირების ახალი ტალღა რას უკავშირდება.

„300 ლარი ჩანთიდან ამოაცალეს“

რა მოხდა თბილისში გაზის გაჟონვით დაღუპული ძმების დაკრძალვაზე

თბილისში გაზის გაჟონვის შედეგად გარდაცვლილი ძმები ვახო და ჯონი ყაზიშვილები სოფელ ბერბუკში დაკრძალეს.

ძმები ყაზიშვილები გორის რაიონის სოფელი ზემო არცევიდან დევნილები იყვნენ. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მშობლიურ სახლში მხოლოდ მამა დარჩა საცხოვრებლად.

– გასვენება იყო, ყველა წასულები ვიყავით, ჯერ ეკლესიაში იყო დასვენებული და მერე დაკრძალეს. სახლში მოსულებმა შენიშნეს, რომ 300 ლარი აღარ იყო. ჩანთიდან ამოაცალეს. როგორც გავიგეთ, 5.000 ლარი იმ კომპანიის ხელმძღვანელს გადმოურიცხია ოჯახებისთვის, ვისთანაც მუშაობდნენ. ალბათ ეგონა ქურდს, რომ სახლში ჰქონდათ ფული და მაგიტომ შევიდა. თუმცა, ბანკიდან აღებულიც არ ჰქონიათ.

ბიჭების დედა განადგურებულია, ფულს კი არ ჩივის, იმას ტირის, ვინ იკადრა ეს. სახლშიც კი არ არის, ძმისშვილის დაკრძალვაზე წავიდა სხვა სოფელში. ისიც მის შვილებთან ერთად დაიღუპა, – ამბობს ყაზიშვილების მეზობელი.

საუკუნის ძარცვა ბელგიაში

პოლიციამ საქართველოს მოქალაქე დააკავა

ბელგიის პოლიციამ 27 წლის საქართველოს მოქალაქე დააკავა, რომელსაც ბრალად ანტვერპენში ბანკის გაძარცვა ედება.

ძარცვა გასულ კვირას მოხდა.

მძარცველებმა ბანკის საცავებში შესაღწევად ბანკის მოპირდაპირე შენობიდან ორი მიწისქვეშა გვირაბი გათხარეს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მძარცველებმა დაახლოებით 30 პერსონალური სეიფი გატეხეს. სავარაუდოდ, აღნიშნულ სეიფებში ბანკის კლიენტებს ბრილიანტები და ოქროულობა ჰქონდათ შენახული.

გამოძიება ვარაუდობს, რომ ბანკის ძარცვაში სამი ადამიანი მონაწილეობდა, მათ ბანკიდან ასეულობით მეტრის მოშორებით მდებარე სახლის ქვეშ ერთი გვირაბი საკანალიზაციო სისტემამდე გათხარეს, მეორე გვირაბი კი – საკანალიზაციო სისტემიდან ბანკის საცავამდე.

სახლის მეპატრონის თქმით, ბინა რამდენიმე თვის წინ ორმა ძმამ იქირავა.

ბანკის გაქურდვის გამო გამაფრთხილებელი სიგნალის მიღების შემდეგ ადგილზე მისულმა პოლიციამ ნახა, რომ საცავის კარი კვლავინდებურად დაკეტილი იყო. კარის გაღების შემდეგ სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს, რომ დეპოზიტების შესანახი 30 ყუთი ცარიელი, იატაკზე კი დიდი ხვრელი იყო, რომელიც გვირაბით საკანალიზაციო სისტემას უერთდებოდა.

მეხანძრეებმა მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი საკანალიზაციო სისტემა შეამოწმეს და აღმოაჩინეს მეორე გვირაბიც, რომელიც საკანალიზაციო სისტემიდან სახლში ამოდიოდა.

ბანკის წარმომადგენლები არ აკონკრეტებენ, რა რაოდენობის თანხა და ძვირფასეულობაა წაღებული საცავებიდან.

უცხოური მედია ბანკის ძარცვის ამ ფაქტს ოუშენისა და მისი მეგობრების მიერ განხორციელებულ ძარცვებს ადარებს.

ზუგდიდში საფლავის გაქურდვის მცდელობაში ბრალდებული დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საფლავზე არსებული ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მცდელობის ბრალდებით, 1995 წელს დაბადებული ლ. გ. დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებული ზუგდიდის სოფელ ჭითაწყარის §1 სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთი საფლავიდან ბიუსტის მოპარვას ცდილობდა.

ფაქტზე, გამოძიება საფლავზე არსებული ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 19-258-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

თურქეთი ლავას ოღლის საქართველოში ექსტრადირებაზე უარს ამბობს?!

რა ელის გავლენიან კანონიერ ქურდს

როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ქუთაისის სასამართლოს მიერ მინდია გორაძის (იგივე ლავას ოღლის) მიმართ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ე.წ. კანონიერ ქურდს პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა და თუ მას ქართველი სამართალდამცავები დაიკავებენ, ციხეში 12 წლის გატარება მოუწევს.

პროკურატურამ აღნიშნულ საქმეზე ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„სახელმწიფო ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით და სასამართლოს განაჩენით დადასტურებულია, რომ მას შემდეგ, რაც 2013 წელს, ქურდულ სამყაროში დადგენილი წესებით, მ.გ. აღიარეს „კანონიერ ქურდად“, იგი ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად მართავდა და ორგანიზებას უწევდა ქურდული სამყაროს წევრთა გარკვეულ ჯგუფს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, მუქარით, დაშინებით და ქურდული გარჩევების გზით აიძულებდა მოქალაქეებს შეესრულებინათ მათთვის არასასურველი ქმედებები, ორგანიზებას უწევდა ე.წ. „ქურდული საერთოს“ შეკრებას და განაწილებას, ქურდული სამყაროსა და სხვა პირებისათვის სარგებლის მისაღებად წყვეტდა მეწარმე სუბიექტებსა და ფიზიკურ პირებს შორის წარმოშობილ დავებს.

გარდა ამისა, 2014-2015 წლებში მ.გ.-ს კავშირი ჰქონდა საქართველოში მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებთან, რომელთაგან პერიოდულად იღებდა ინფორმაციას კრიმინალურ სამყაროში არსებული ვითარების შესახებ, აძლევდა მითითებებს ქურდული სამყაროსათვის ხელსაყრელი მდგომარეობის შესაქმნელად და სხვადასხვა პრივილეგიების მოპოვების მიზნით. ასევე, იღებდა გადაწყვეტილებებს შეგროვილი ე.წ. „ქურდული საერთოს“ შევსებისა და გადანაწილების საკითხებზე, არეგულირებდა ურთიერთობებს ქურდული სამყაროს წევრებს შორის.

2015 წლის 24 თებერვალს მ.გ. მობილური ტელეფონით დაუკავშირდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა ‚განსხვავებული აქცენტები“-ს ავტორს და წამყვანს, უკმაყოფილება გამოთქვა 2015 წლის 14 თებერვალს სატელევიზიო ეთერში მის საქმიანობასთან დაკავშირებით გასული უარყოფითი სიუჟეტის (ინფორმაციის) გამო და დაემუქრა მას, შემდგომში თავი შეეკავებინა ანალოგიური ინფორმაციის გავრცელებისგან.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მ.ლ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2231-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 25, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.“

მინდია გორაძე, ბოლო მონაცემებით, თურქეთში, საექსტრადაციო პატიმრობაშია და, როგორც ამბობენ, საქართველოს უნდა გადმოსცენ, თუმცა, თუ თურქული მხარე ამას ადრე ადასტურებდა, ახლა აღნიშნულს აღარ ადასტურებს ანუ თურქები კი ადასტურებენ, რომ გორაძე დაკავებულია, მაგრამ ამ ეტაპზე მის ექსტრადაციას არ განიხილავენ.

რეალურად, გორაძე აჭარის რეგიონში აბსოლუტურად ყველაფერს აკონტროლებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ მასზე, პრაქტიკულად, ნადირობის სეზონი გამოაცხადა, მისმა გავლენებმაც იკლო და შედეგად, „ლავას ოღლი“ დღევანდელ დღემდე მოვიდა.

ახლა მოარული ხმა, გორაძე არჩევნების დროს ბათუმში არალეგალურად ჩამოდის და ხელისუფლებას ეხმარებაო, უკვე გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს. ფაქტია, ამ ხელისუფლებამ კანონიერი ქურდი ციხისთვის ოფიციალურად გაიმეტა.

გასული კვირა საქართველოში დაბადებული კიდევ ერთი კანონიერი ქურდისთვის იყო საინტერესო. ათწლიანი სასჯელის შემდეგ, რუსული ციხიდან სოხუმელი ქურდი, მატვეი კარაბულატი გათავისუფლდა.

„მატვეი სოხუმსკის“ მეტსახელით ცნობილი კარაბულატი წარმოშობით ბერძენია.

სოხუმელი ქურდი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანია კრიმინალურ სამყაროში. ის არასოდეს სცემს პოლიციელთა მიერ დასმულ კითხვას პასუხს, მათ სახელსა და გვარსაც კი არ ეუბნება. ციხეში ყოფნის 10-წლიან პერიოდში, ერთხელაც არ ისარგებლა ციხის საავადმყოფოს მომსახურებით იმის მიუხედავად, რომ ექიმთა დახმარება არაერთხელ სჭირდებოდა.

ციხიდან გამოსვლისთანავე ის კრასნოდარის მხარის ყველაზე დიდ და სოლიდურ საავადმყოფოში გააქანეს, სადაც ერთი კვირა მკურნალობდნენ, თუმცა იქიდან გამოწერილს ცუდი სიურპრიზი ელოდა: რუსეთის შს მინისტრის ბრძანებით, „მატვეი სოხუმსკის“ სამუდამოდ აეკრძალა რუსეთის ტერიტორიაზე ყოფნა – წერს რუსული მედია.

ყველაზე საინტერესოც ამის შემდეგ დაიწყო. „მატვეი სოხუმსკიმ“ მშობლიურ სოხუმში დააპირა გამგზავრება, მაგრამ ამცნეს, რომ არც იქ გააჩერებდნენ. შედეგად, მისი საექსტრადაციო საბუთები აფხაზურმა მხარემ მოამზადა, მაგრამ ბერძნებმა არ მიიღეს, აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო, არ ვიცითო.

ამის შემდეგ საქმეში უკვე რუსეთი ჩაერთო და მისი საექსტრადაციო საბუთები სწორედ რუსეთის ფედერაციიდან გაიგზავნა. შედეგად, „მატვეი სოხუმსკი“ ისტორიულ სამშობლოს კი უბრუნდება, მაგრამ რუსეთში ეჭვი აქვთ, რომ ის არალეგალურად მოსკოვში აუცილებლად დაბრუნდება და კვლავ სამართალდამცავთა ხელში აღმოჩნდება.

სააფთიაქო ნარკომანიის 21 პირის პროცესი 2 ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო

სააფთიაქო ნარკომანიის საქმეზე ბრალდებული 21 პირის სასამართლო პროცესი 2 ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

გუშინ, 6 თებერვალს, სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარეს შესავალი სიტყვა უნდა წარმოეთქვა.

როგორც საქმის პროკურორმა მაია სილაგაძემ განაცხადა, 21-ვე პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს. მისივე განმარტებით, საქმეში არაერთი მოწმის ჩვენება, ასევე ფარული აუდიოჩანაწერები მოიპოვება, რომელთა მიხედვითაც, როგორც გია თვალავაძის, ასევე დანარჩენი პირების ბრალეულობა დასტურდება.

– ბრალდების მხარეს გვაქვს მოლოდინი, რომ მათ წინააღმდეგ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი. რაც შეეხება თვალავაძეს, წარმოდგენილი გვაქვს არაერთი მტკიცებულება, რომელიც წინა სასამართლო პროცესზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

მტკიცებულებებს შორის არის მოწმეთა ჩვენებები და ფარული აუდიო ჩანაწერები, რომელთაც გამოვიკვლევთ საქმის არსებითი განხილვის დროს, – აცხადებს სილაგაძე.

გია თვალავაძის ადვოკატ ტარიელ კაკაბაძის განცხადებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები მისი კლიენტის დანაშაულებრივ ქმედებას ვერ ადასტურებს.

– თუ სასამართლო სწორად შეაფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მის მიმართ გამოიტანს გამამართლებელ გადაწყვეტილებას. ჩვენ გამოვითხოვეთ დოკუმენტები სამინისტროდან და მივიღეთ პასუხი. ეს პასუხი არის მტკიცებულება იმისა, რომ დადასტურდეს გია თვალავაძის უდანაშაულობა. მართალია, საქმეში არის არაერთი მოწმე, თუმცა, ისინი თვალავაძის დანაშაულებრივ ქმედებას ვერ ადასტურებენ, – დასძენს კაკაბაძე.

ე.წ. სააფთიაქო ნარკომანიის საქმეზე 21 პირი დააკავეს, აქედან 2 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული, 19 კი გირაოს სანაცვლოდაა გათავისუფლებული.

გამოძიების ინფორმაციით, თბილისსა და გორში მდებარე აფთიაქებში უკონტროლოდ ხორციელდებოდა ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაცია. აფთიაქების მფლობელები, მფარველობის სანაცვლოდ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ უფროსისთვის – გია თვალავაძისთვის – გადასაცემად ნუგზარ ჯანჯღავას დიდი ოდენობით თანხებს უხდიდნენ.

ურეცეპტოდ რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა საერთო ჯამში შეადგინა 4.094.709 ლარი.

ფილარეტი კიევის ეპარქიის სათავეში რჩება

შედგა უკრაინის ერთიანი მართლმადიდებელური ავტოკეფალური ეკლესიის წმინდა სინოდის პირველ სხდომა.

მიღებულ იქნა ორგანიზაციული გადაწყვეტილებები.

სინოდმა დაადგინა, რომ უკრაინის ერთიანი ავტოკეფალური ეკლესიის საპატიო პატრიარქი კიევის ეპარქიის სათავეში დარჩება.

ავღანეთში ჟურნალისტები დახოცეს

ავღანეთის ქალაქ ტალუკანიში ექსტრემისტები თავს დაესხნენ რადიოსადგურ „ჰამზადას“.

შედეგად 2 ჟურნალისტი დაიღუპა. ტერორისტები მიიმალნენ.

ჯერჯერობით უცნობია, რომელ ფორმირებას განეკუთვნებოდნენ თავდამსხმელები და რა მოტივი ამოძრავებდათ.

მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

ირანმა ევროკავშირის კრიტიკას განცხადებით უპასუხა

ევროსაბჭომ ირანის პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ირანი საკუთარი ბალისტიკური რაკეტების სრულყოფისკენ მიისწრაფის, ეს კი რეგიონს საფრთხეს უქმნის.

გაკრიტიკებულია ირანის პოლიტიკა სირიაში.

– ირანი მხარს უჭერს ნახევრად ლეგა-

ლურ გასამხედროებულ სტრუქტურებს სირიასა და ლიბანში, – ნათქვამია განცხადებაში.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროპელთა ყველა ბრალდება უარყო.

მის საპასუხო განცხადებაში ნათქვამია, რომ სამხედრო პოტენციალის, კერძოდ, რაკეტების, სრულყოფა რეგიონს საფრთხეს არ უქადის. ირანელები პარა-მილიტარისტული სტრუქტურების მხარდაჭერასაც უარყოფენ.

– სირიაში სამოქალაქო ომია! ირანი მუდამ აცხადებდა, რომ პრობლემების სამხედრო გზით მოგვარება შეუძლებელია! მშვიდობის აღდგენა მხოლოდ დიპლომატიური საშუალებებით უნდა მოხდეს, – ნათქვამია განცხადებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საფრანგეთში ამიერიდან სომხების გენოციდის დღეს აღნიშნავენ

თურქეთმა მაკრონის გადაწყვეტილება დაგმო

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი სომხური დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.

მაკრონმა განაცხადა, რომ ამიერიდან 24 აპრილს სომხების გენოციდის დღე საფრანგეთში ოფიციალურად აღინიშნება, როგორც გლოვის დღე.

– საფრანგეთი ისტორიას არ აიდეალებს! ჩვენ წარსულს ვიღებთ ისეთს, როგორიც არის, – თქვა მაკრონმა.

პრეზიდენტმა მიუთითა, რომ თავისი გადაწყვეტილების შესახებ თურქეთის ლიდერ ერდოღანსაც აცნობა.

თურქეთი გმობს საფრანგეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას. ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა იბრაჰიმ ქალინმა განაცხადა.

– ჩვენ მტკიცედ ვგმობთ პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის განცხადებას 24 აპრილის სომხების გენოციდის ხსოვნის ეროვნულ დღედ შემოღების თაობაზე. სომხების გენოციდის შესახებ მტკიცება პოლიტიკური სიცრუეა, ისტორიულ ფაქტებს ეწინააღმდეგება და სამართლებრივი საფუძვლები არ აქვს, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

იბრაჰიმ ქალინმა ასევე აღნიშნა, რომ ანკარა არ მიიღებს მაკრონის მისწრაფებას, პოლიტიკური მოვლენა ისტორიულ ინსტრუმენტად აქციოს.

ტრამპი და კიმი ერთმანეთს ვიეტნამში შეხვდებიან

აშშ-ის პრეზიდენტი კონგრესში სიტყვით გამოვიდა

შედგა კონგრესისა და სენატის ერთობლივი სხდომა. მასზე სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი ტრამპი, რომელმაც ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა დაწვრილებით მიმოიხილა.

ტრამპის გამოსვლის პირველი ნაწილი იმ ეკონომიურ წარმატებებს შეეხებოდა, რისი მიღწევაც მისი ხელმძღვანელობით მოხერხდა. მეორე ნაწილის ძირითადი თემა არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა იყო.

– მექსიკასთან კედლის აშენება აუცილებელია, – თქვა ტრამპმა.

საერთაშორისო ნაწილს ტრამპმა არცთუ დიდი ყურადღება დაუთმო. პრეზიდენტმა მიმოიხილა საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებული შეთანხმებიდან აშშ-ის გასვლის საკითხი. მან თქვა, რომ რუსეთთან და ჩინეთთან ახალი შეთანხმების დადებაა აუცილებელი.

– იმედი მაქვს, რომ საშუალო და მცირე სიშორის რაკეტებთან დაკავშირებით როგორც რუსეთთან, ისე ჩინეთთან ახალი შეთანხმების დადება მოხერხდება, – განაცხადა ტრამპმა.

ამავე დროს, ტრამპმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ვერც ჩინეთი და ვერც რუსეთი ამერიკელებს ვერ შეაშინებენ. კუნთების თამაშის ნებისმიერი მცდელობა ამ ქვეყნებისთვის ცუდად დამთავრდება.

– მსურს როგორც რუსები, ასევე ჩინელებიც გავაფრთხილო, რომ გამალებულ შეიარაღებაში ისინი ვერ გვაჯობებენ, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

მან თქვა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია.

– ჩემი და კიმ ჩენ ინის შეხვედრა თებერვლის ბოლოს ვიეტნამში შედგება, აღნიშნა ტრამპმა.

მაკედონიის ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე პროტოკოლს ხელი მოეწერა

გუშინ, 6 თებერვალს, ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში ნატო-ს წევრი ქვეყნების ელჩებმა და მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკედონიის ალიანსში გაწევრიანების თაობაზე პროტოკოლს ხელი მოაწერეს.

პროცედურის თანახმად, შემდეგ ეტაპზე აღნიშნული პროტოკოლი ნატო-ს წევრ ქვეყნებს გადაეცემათ რატიფიცირებისთვის და მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდეგ შეძლებს მის რატიფიცირებას მაკედონია.

აღნიშნული პროცედურა მიმდინარე წელს დასრულდება და მაკედონია ოფიციალურად გახდება ალიანსის 30-ე წევრი ნატო-ს სამიტზე, რომელიც დეკემბერში ლონდონში გაიმართება.

– პროტოკოლის ხელმოწერა რატიფიცირების პროცესს ხსნის და ვიმედოვნებ, რომ ეს პროცესი სწრაფად ჩატარდება და შევძლებთ, ალიანსის 30-ე წევრს მივესალმოთ, – განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მედეა ჩოხელი: „მალე ჩვენი ადგილი გვექნება ევროპულ ხელბურთში“

მართალია, ქართული ხელბურთი ვარსკვლავებს ვერ წყვეტს, მაგრამ ბოლო დროს რამდენიმე წარმატებული სპორტსმენი გვყავს.

2 ჩვენებური განაგრძობს ევროტურნირებზე თამაშს. ირაკლი ჩიქოვანის რუმინული კლუბი, კონსტანცა ევროპული თასის ჯგუფურ ეტაპს დაიწყებს, ხოლო მედეა ჩოხელის მაკედონიურ გუნდს, პელისტერს ჩელენჯ კაპის მერვედფინალი აქვს სერბეთის ნისსთან.

ქალთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი და პელისტერის ხაზის მოთამაშე, მედეა ჩოხელი:

– პირველ ეტაპზე მალტის ლა სალს მოვუგეთ და ახლა 9 და 10 თებერვალს სერბეთის ნისს ვხვდებით. თავდაპირველად ასე იყო, რომ, პირველი მატჩი სტუმრად უნდა გვეთამაშა და მეორე შინ, მაგრამ ორივე კლუბის ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ 8-9 თებერვალს ვითამაშებთ სერბეთში. ცხადია, შინ მეტი შანსი გვექნებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგის თამაშებს ვუყურეთ და განსაკუთრებული ვერაფერი აღმოვაჩინეთ და ჩვენსავით ახალგაზრდული გუნდია. ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი გვაქვს.

– პელისტერში როგორ მოხვდი?

– მაკედონიამდე უცხოური გამოცდილება მქონდა. 2016 წელს საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ მე, ქეთი კუნელაშვილი და ანა ყველაშვილი მიგვავლინა გერმანიაში, მეორე ბუნდესლიგის კლუბ ბენსჰაიმ-აუერბახის აკადემიაში, სადაც ერთი თვე ვივარჯიშეთ. შემდეგ სტაჟირებაზე გამგზავნეს დანიაში. იქ, აკადემიაში ვარჯიშთან ერთად, ქალაქ იკასტის მიდტიულანდში, დანიის მეორე ლიგაში ვთამაშობდი. დანიაში თამაშობდა ჩემი დღევანდელი მწვრთნელი ვიქტორია მურგოვსკაც, რომელიც, სხვათა შორის, სულ 26 წლის არის. ჩემი აგენტი ევა ვორტმანი მას სწორედ დანიიდან იცნობდა. ჩავამთავრე ერთი სეზონი მიდტიულანდში და მერე პელისტერში გადავედი.

– მაკედონიის ჩემპიონატში რა ხდება?

– ორწლიანი შეჯიბრებაა, რომლის დამთავრების შემდეგ ირკვევა ფინალური ოთხეული. ჩვენი მიზანი სწორედ ამ ოთხეულში მოხვედრაა. დღეისათვის მეხუთეზე ვართ. ერთი ქულით ჩამოვრჩებით ვარდარსა და სტრუუანკას. ვარდარში, რომელსაც ბოლო წლებში ჩემპიონთა ლიგის 2 ფინალი აქვს ნათამაშები, რეორგანიზაციაა. მხოლოდ ახალგაზრდები დაიტოვეს, უფროსები თითქმის აღარავინ ჰყავთ. პირველ ადგილზე კი მეტალურგია, ხოლო მეორეზე კუმანოვო, რომელსაც ამ სეზონში ჩვენს მოედანზე მოვუგეთ. მე ყველა მატჩში ვითამაშე და 52 გოლი დამიგროვდა. ჩემპიონატი თებერვლის მეორე ნახევარში განახლდება.

– მანდ რა პერსპექტივა გაქვს? ან რაიმე შემოთავაზებები ხომ არ მიგიღია?

– კი, როგორ არა. აგენტმა მითხრა, რომ საბერძნეთიდან, ათენის ერთ-ერთი გუნდიდან მაქვს შემოთავაზება. ამ გუნდის სახელს ვერ გეტყვით, მაგრამ ის ოთხეულში თამაშობს. ჯერჯერობით არ ვიცი რა გადაწყვეტილებას მივიღებ. სხვა შემოთავაზებებსაც ველოდებით.

– შენს ახლანდელ გუნდთან თუ გაქვს კონტრაქტი?

– არა, პროფესიული კონტრაქტი არ გამიფორმებია, რადგან მას შეიძლება ტრანსფერის ფასი გაეძვირებინა. ამიტომ აგენტმა თავი შეიკავა. მირჩია ამ ეტაპზე სამოყვარულო კონტრაქტს დავჯერებოდით.

– ხელფასს გიხდიან?

– რასაც მაძლევენ, ერთ ადამიანს, რომელსაც ბინის, კვების და მგზავრობის ფულს კლუბი მიხდის, სრულიად მაკმაყოფილებს.

– მაკედონიის სუპერლიგის ყველაზე ძლიერი გუნდი მეტალურგია. ნაკრების ქალები მანდ თამაშობენ?

– მაკედონიის ნაკრების ბევრი წევრი საზღვარგარეთ თამაშობს: გერმანიაში, სლოვენიაში, დანიაში მეტალურგში მათი ეროვნული გუნდიდან 3 თუ 4 ხელბურთელია, მაგრამ გუნდი კარგად არის დაბალანსებული. გამოცდილი მოთამაშეებიც ჰყავთ და ახალგაზრდებიც.

– პელისტერზეც გვიამბე. თქვენს ქალაქს ბიტოლა ჰქვია. რამდენად უყვართ იქაურებს ხელბურთი? ვთქვათ თქვენივე კლუბის ვაჟთა გუნდის თამაშებზე დადიან?

– გააჩნია, ვის ეთამაშება. როდესაც ევროფარმს ხვდება, დარბაზი გადავსებულია, რადგან ორივე გუნდი ერთი ქალაქიდან არის და დერბი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ჩვენს თამაშებზეც საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი დადის. რასაკვირველია, კაცების თამაში უფრო აინტერესებთ, მაგრამ მაყურებლის ნაკლებობას არც ჩვენ ვუჩივით.

– სწავლის საქმე როგორ არის? მაკედონიაში ხომ არ სწავლობ?

– არა, სეუ-ში სამართალზე ვსწავლობ და აკადემიური მაქვს აღებული.

– შენ ძირითადი შვიდეულის მოთამაშე ხარ?

– დიახ, ძირითადში ვთამაშობ. თუ ძლიერი მეტოქე გვყავს, თავიდან ბოლომდე მოედანზე ვარ, მაგრამ თუ სუსტი გუნდია, მაშინ თავიდან ვიწყებ და მერე მასვენებენ.

– დაცვაში სად დგახარ?

– ხან ცენტრში და ხან მეორე კაცად. თუ 5-1 სისტემით ვთამაშობთ, მაშინ მეორე ვარ.

– თავად როგორ ამჩნევ, მაკედონიის ჩემპიონატში როგორც ხელბურთელი გაიზარდე?

– ვფიქრობ, მომატებული მაქვს. დატვირთვებიც არ გვაკლია. დღეში ხან 2 ვარჯიში გვაქვს, ხან – 3. სამსამი ვარჯი გვაქვს სამშაბათობით და ხუთშაბათობით. ჯერ შტანგაზე გვამუშავებენ, შემდეგ ძირითად შვიდეულს ტაქტიკასა და დარტყმებში გვავარჯიშებენ, საღამოს 9 საათზე კი ყველანი ერთად ვვარჯიშობთ. უქმეებზეც გვავარჯიშებენ. ჩვენი დასვენება თამაშის მეორე დღეს იმაში გამოიხატება, რომ მხოლოდ ერთი ვარჯიში გვაქვს.

– ხელბურთს დიდი ხანია, თამაშობ?

– 2013 წლიდან. პეგასში დავიწყე ნინო წივნივაძესთან, რომელსაც ძალიან სერიოზული საერთაშორისო კარიერა ჰქონდა მოთამაშეობის დროს. 2015 გოგონათა ნაკრებს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი ჰქონდა თბილისში და ამ ტურნირამდე სერიოზული მზადება გავიარეთ. თამაშითაც ნორმალურად ვითამაშეთ და ყველას ვებრძოლეთ.

სხვადასხვა ნაკრებებში ბევრი მწვრთნელი მყოლია: ელისო ჟურულიშვილი, მაია კარბუნარი, როლანდ ერაძე, ინა ჭკუასელი, გიორგი გვაზავა, ოლექსანდრ გურსკი, ბექა ორჯონიკიძე. ერთადერთი, ჩვენი მენეჯერი ლანა მარგიანი იყო უცვლელი. სულ 8 საერთაშორისო ტურნირი დამიგროვდა ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში. ნელ-ნელა ვუმატებთ და რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი ადგილი გვექნება ევროპულ სანაკრებო ხელბურთში.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე ფინალისტებს ბოლო ტური გადაწყვეტს

ქუთაისში მიმდინარე ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალურ ტურნირზე მეორე ტურის მატჩები გაიმართა და ლიდერებიც გამოიკვეთა. მართალია, 2-დან 2 მოგების მქონე დელტამ, თსუ-ჰიუნდაიმ და ქუთაისმა ფინალის საგზურები ვერ გაიანაღდეს, თუმცა მიზანთან რომ სხვებზე ახლოს არიან, სატურნირო ცხრილიდან ნათლად ჩანს.

დელტა-დინამო 89:47

(20:17, 19:10, 23:6, 27:14)

ქუთაისის სპორტის სასახლეში გამართული 4 მატჩიდან პირველი დინამოსა და დელტას დაპირისპირება გახლდათ. ამ მატჩში ბევრისთვის მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. სუპერლიგის მოქმედმა ჩემპიონმა და ლიდერთა შორის მყოფმა დინამომ 42 ქულით წააგო. არადა, დელტას ტრავმის გამო 3 მოთამაშე აკლდა, რომელთაგან 2 ლეგიონერია. მიუხედავად ამისა, ლექსო ლაფანაშვილის გუნდმა ჩვეული შემართებით იბრძოლა და ტიტულოვან მეტოქეს ძალიან იოლად სძლია.

დელტელებს 21 ქულით ბექა ბექაურმა ულიდერა. 13-13 ქულა თინეიჯერებმა – ვახტანგ გაფრინდაშვილმა და ივანე მეგენეიშვილმა დააგროვეს. ოთარ ფხაკაძემ 8 ქულა და 11 პასი მიითვალა. დინამოში 11 ქულით რეჯერ დოუელი გამოირჩა.

დელტას 2 ტურის შემდეგ 2 მოგება აქვს, ბოლო ტურში ბათუმს დაუპირისპირდება და გამარჯვების შემთხვევაში ფინალში გავა. გააჩნია, როგორ დასრულდება ჯგუფის მეორე შეხვედრა, შესაძლოა, დელტა ბათუმელებთან წაგებითაც გავიდეს ფინალში.

კაკტუსი-თსუ ჰიუნდაი 75:106

(21:23, 13:31, 27:32, 14:20)

დიდი ბრძოლა არც ამ მატჩში ყოფილა და 31-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. თსუ-ჰიუნდაიმ, რომელმაც პირველ ტურში ოლიმპი დაძაბულ ბრძოლაში – 81:80 დაამარცხა, კაკტუსს შანსი არ დაუტოვა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა თსუ-ჰიუნდაელებმა მეორე ნახევარში სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს და საბოლოოდ დამაჯერებელი სხვაობით იმარჯვეს – 106:75.

22 ქულით გამარჯვებულებს ჯეიმს მილიკენმა ულიდერა. 17 ქულით და 9 მოხსნით კორი სანდერსი გამოირჩა. 15 ქულა რატკო პეტრიჩის ანგარიშზე დაგროვდა. კაკტუსში 29 ქულით დელანო სპენსერი იყო საუკეთესო, დომინიკ ელიოტმა კი თავისიანებს 11 ქულა და 9 ქულა შემატა.

თსუ-ჰიუნდაის 2-დან 2 მოგება აქვს და ბოლო ტურში, ნახევარფინალის ტოლსწორ მატჩში ასევე დაუმარცხებელ ქუთაისს შეხვდება. 2-2 წაგების მქონე ოლიმპს და კაკტუსს კი ჯგუფიდან გასვლის იმედი გადაწურული აქვთ.

მგზავრები-ბათუმი 82:103

(21:31, 25:21, 18:24, 18:27)

პირველ ტურში დინამოსთან ბოლო წამებზე დამარცხებულმა ბათუმმა მეორე ტურის მატჩი მგზავრებს მოუგო და ფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ზღვისპირელებმა მეტოქეს იოლად მოუგეს. მატჩმა გაცემული ავანსები ვერ გაამართლა. შეხვედრა დაძაბული ვერ გამოდგა – 103:82 ბათუმელთა სასარგებლოდ.

აჭარულმა გუნდმა პირველივე წუთებზე რომ მოიპოვა ლიდერობა, პრობლემა ფაქტობრივად აღარ შექმნია. დიდი შესვენებისთვის ბათუმი 6 ქულით იგებდა, მესამე პერიოდში კი უპირატესობა 12-ამდე გაზარდა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად გადაწყვიტა.

ზღვისპირელებს კარგი ახალწვეულები ჰყავთ – კეისი შეპარდმა 35 ქულა, 7 პასი და 5 მოხსნა მიითვალა. დეიან იეფტიჩმა კი შეხვედრა 15 ქულით დაასრულა. 22 ქულით და 10 პასით გამოირჩა ნოდარ გოგოძე, 16 ქულა და 8 მოხსნა სტეფან ანდრეევიჩმა მიითვალა. მგზავრებში 23 ქულით საუკეთესო იყო ადრიან ბოუი, ხოლო ირაკლი ბეშქენაძის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა.

ქუთაისი-ოლიმპი 83:78

(18:23, 26:13, 19:15, 20:27)

მეორე ტურის ბოლო მატჩი ყველაზე დაძაბული გამოდგა. ოლიმპმა მასპინძელ ქუთაისთან თამაში შედეგიანად დაიწყო და პირველი პერიოდი 23:18 მოიგო. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა იმერულმა კლუბმა თამაში მალევე გამოასწორა, ამერიკელი ლეგიონერების ლიდერობით მეორე პერიოდი 26:13 მოიგო და დიდი შესვენებისთვის 8 ქულით დაწინაურდა.

ქუთაისელებმა წარმატებული გარჯა მეორე ტაიმშიც გააგრძელეს და მესამე პერიოდის 19:15 მოგების შემდეგ 12 ქულით გალიდერდნენ. როგორც ყოველთვის, ოლიმპმა ამჯერადაც ბოლომდე იბრძოლა და რევაზ როგავას, მარკ ოგდენისა და მთლიანად, გუნდური თამაშის წყალობით ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. ჩარლზ ბენეტის სამქულიანის შემდეგ, მატჩის დასრულებამდე წუთზე ოდნავ მეტით ადრე, ტაბლოზე 76:76 დაფიქსირდა.

მასპინძლების პასუხი დეჟუან რაიტის სამქულიანი და ლევან ფაცაციას 2 ზუსტი საჯარიმო იყო, რის შემდეგაც ქუთაისელები 81:76 დაწინაურდნენ. მატჩის დასრულებამდე დარჩენილ 40 წამში ოლიმპის კალათბურთელებმა თამაშის გადარჩენა ვეღარ შეძლეს და მემორიალის შარშანდელმა ჩემპიონმა ქუთაისმა ტურნირზე მეორე გამარჯვება მოიპოვა – 83:78

26 ქულითა და 9 მოხსნით ქუთაისელებს რაიტმა ულიდერა. 14 ქულა მიითვალა ელჯეი ბუსმა. ოლიმპში 17 ქულითა და 19 მოხსნით საუკეთესო იყო მარკ ოგდენი. 17 ქულა მიითვალა რევაზ როგავამ.

შენგელიას ტრავმა გაურთულდა, ფაჩულია ფლეი ოფისკენ მიიწევს

ზაზა ფაჩულიას დეტროიტმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და აღმოსავლეთ კონფერენციის მერვეადგილოსან მაიამის ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. ეს კი ნიშნავს, რომ კიდევ ერთი წარმატებული მატჩის შემთხვევაში ფლეი ოფში გასვლა არარეალური სულაც არ მოჩანს.

დენვერთან გამარჯვებიდან მხოლოდ ერთი დღის შემდეგ, პისტონსმა კონფერენციის აუტსაიდერი ნიუ იორკ ნიქსი სტუმრად 105:92 დაამარცხა და ახლა უკვე 24 მოგება და 29 მარცხი აქვს. შედეგად, დეტროიტს პლეი ოფში გამსვლელ მე-8 ადგილამდე, სადაც ახლა მაიამი (25 მოგება, 27 მარცხი) იმყოფება, 1 მოგება აშორებს. თუმცა, ჰიტს, რომელმაც პორტლენდი 118:108 დაამარცხა, 1 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ფაჩულიამ 11 წუთი ითამაშა და 5 ქულა, 3 მოხსნა (1 შეტევაში, 2 დაცვაში) და 1 პასი დააგროვა. პისტონსის 34 წლის ქართველმა ცენტრმა ერთადერთი 2-ქულიანი და სამივე საჯარიმო ზუსტად ესროლა.

გუნდის ძირითადი ცენტრის, ანდრე დრამონდის აქტივში კი კვლავ ორმაგი დუბლია – 17 ქულითა და 16 მოხსნით.

დეტროიტ პისტონსი მომდევნო მატჩს ისევ ნიუ იორკ ნიქსთან გამართავს, კვლავ ფავორიტი იქნება და მოგების შემთხვევაში ფლეი ოფისკენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს. კონკურენტი მაიამი კი საკრამენტოს ესტუმრება.

საქართველოს ნაკრებისა და ბასკონიას კაპიტნის თორნიკე შენგელიას ტრავმის მდგომარეობა გართულდა. თავიდან იყო საუბარი, რომ შენგელიას ერთი თვე გაუცდებოდა, დაშავებიდან ამ დროის გასვლის შემდეგ, ქართველ ფორვარდს მორიგი გამოკვლევა ჩაუტარდა და როგორც ესპანური კლუბის ვებგვერდზე წერენ, თოკო თამაშს კიდევ 2-3 თვე ვერ შეძლებს.

ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენებურისთვის ევროლიგის რეგულარულ ჩემპიონატი დასრულდა და გუნდს ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურებში თუ დაეხმარება, ანაც თუ ბასკონია ევროლიგის ფლეი ოფში გავა.

შეგახსენებთ, 27 წლის ქართველმა კალათბურთელმა მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები გასული წლის ბოლოს რეალთან შეხვედრაში დაიზიანა. ექიმების გადაწყვეტილებით, ბასკონიას ქართველ ლიდერს მკურნალობა ფიზიოთერაპიული კურსის თანხლებით ჩაუტარდა, თუმცა, მოლოდინი, რომ ერთთვიანი პროცედურები შენგელიას გამოჯანმრთელებისთვის საკმარისი იქნებოდა, არ გამართლდა.

ბასკონია ევროლიგის რეგულარულ ჩემპიონატში გასული 21 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზეა. ესპანეთის ჩემპიონატში კი, გუნდს 19 ტურის შემდეგ 28 ქულა აქვს (ამდენივე აქვს რეალს) და მხოლოდ ბარსელონას ჩამორჩება (32).

საკალათბურთო ევროთასის ჯგუფური ეტაპის ბოლო, მე-6 ტურში გიორგი შერმადინის უნიკახა ბელგრადში ცრვენა ზვეზდას ესტუმრა და 89:105 დამარცხდა. წაგების მიუხედავად, ჯგუფიდან სწორედ მალაგური კლუბი გავიდა, ცრვენა ზვეზდა კი ჩარჩა. ასე რომ, შერმადინის გუნდი ფლეი ოფში, კერძოდ კი, მეოთხედფინალში ითამაშებს.

გიორგი შერმადინმა მხოლოდ 14 წუთი ითამაშა. ქართველი ცენტრის ანგარიშზე 7 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასია.

შედეგები

5 თებერვალი

ფეხბურთი

გერმანია. თასი

ჰამბურგი-ნიურნბერგი 1:0
ჰაიდენჰაიმი-ლევერკუზენი 2:1
დორტმუნდი-ვერდერი ..... 1:1(2:4პ)
დუისბურგი-პადერბორნი 1:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

მარსელი-ბორდო 1:0

საფრანგეთი. თასი

კრუა-დიჟონი 0:3
მეცი-ორლეანი 0:1
ნანტი-ტულუზა 2:0
ბასტია-კაენი ..... 1:1(3:5პ)

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბათუმი-2019: კომისია ჯერ კმაყოფილია

6-13 აპრილს ბათუმი ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომელზეც ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური სალიცენზიო ქულებიც გათამაშდება.

მიმდინარე სამუშაოების გასაცნობად ბათუმს ევროპის ფედერაციის სპეციალური კომისია ეწვია. ევროპის ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჰასან აკუშმა და ევროპის ფედერაციის ტელევიზიის დირექტორმა დევიდ გოლდსტრომმა სამუშაო ვიზიტის ფარგლებში უკვე მოინახულეს რამდენიმე სასტუმრო და საშეჯიბრო დარბაზსაც შეამოწმებენ. ამის შემდეგ სტუმრები რიგ საორგანიზაციო საკითხებს განიხილავენ და დადებითი დასკვნის შემთხვევაში ბათუმი -2019-ის ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ.

2019 წლის ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატის პირდაპირი ტელეტრანსლაცია „ევროსპორტზე“ გადაიცემა და კონტინენტის პირველობას 60-მილიონიანი აუდიტორია ეყოლება; საერთო ჯამში, პირდაპირი ეთერი 20 ენაზე 55 ქვეყანაში გაშუქდება.

პავარს ბაიერნთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს

საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და საფეხბურთო კლუბ შტუტგარტის მცველი ბენჟამენ პავარი, გერმანულ გამოცემა ბილდთან მიუნხენის ბაიერნის შესახებ საუბრობს. შეგახსენებთ, მომავალ ზაფხულს ახალგაზრდა ფეხბურთელი „რეკორდმაისტერის“ წევრი გახდება.

ბენჟამინ პავარი:

– გასულ საფეხბურთო სეზონში, იყო ერთი განსაკუთრებული მომენტი, როდესაც შტუტგარტის შემადგენლობაში მყოფი, „ალიანც არენაზე“ კორიდორში ვიდექი. ვუყურებდი ბავარიელ ფეხბურთელებს და ვგრძნობდი არსებულ ატმოსფეროს. სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ მსურდა ოდესღაც იქ მეასპარეზა. დიახ, შემეძლო სხვა ჩემპიონატში გადასვლა, თუმცა ამ პროცესს მხოლოდ ფულის ჭრილში არ ვუყურებდი. მე მომწონს გერმანია, აქაური მენტალიტეტი და ბუნდესლიგა. ასე რომ, გადავწყვიტე, აქ დავრჩენილიყავი. როდესაც წინადადება ბაიერნიდან მივიღე, ერთი წამითაც არ დავფიქრებულვარ. ბაიერნი მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. მსურს გავაგრძელო მისი ისტორია და მასთან ერთად დავეუფლო ბევრ ტიტულს. ამ გუნდს უეფას ჩემპიონთა ლიგის მოგების კარგი შანსი აქვს.

სოლსკიაერს გუნდში განსაკუთრებულები ჰყავს

მანჩესტერ იუნატედის თავკაცმა, ოლე გუნარ სოლსკიაერმა აღიარა, რომ ძალიან უყვარს ფეხბურთელებთან მუშაობა და მათი გაუმჯობესება. მისი მოსვლის შემდეგ კი გუნდში პოზიტიური ცვლილებები ცალსახაა.

ოლე გუნარ სოლსკიაერი:

– მე უბრალოდ ძალიან მიყვარს ფეხბურთელებთან მუშაობა, განსაკუთრებით მათთან, ვისაც გაუმჯობესება სურთ. მიყვარს მათთან საუბარი და მათთვის რჩევების მიცემა. მომწონს, როცა ვეხმარები. ჩემი აზრით, ეს არის მწვრთნელის მთავარი ამოცანა. ფეხბურთელები უფრო და უფრო უნდა გააუმჯობესო. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ესაა.

ოლე გუნარის იუნაიტედი კვლავ დაუმარცხებელია. „წითლები“ ეცდებიან, რომ ეს სერია რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. სოლსკიაერის განცხადებით, ძალიან უნდა, რომ ისეთი ფეხბურთელები ჰყავდეს გუნდში, რომლებიც პრობლემების თავად გადაჭრას შეძლებენ.

– აუცილებელია, რომ თამაშის გამარჯვების გზა იპოვო. ყველა მატჩი განსხვავებულია. შეიძლება პირველი გოლი ჩვენ გავიტანოთ და ამის შემდეგ კიდევ უფრო განსხვავებულ თამაშს ვიხილავთ. შეიძლება პირველი გოლი მოწინააღმდეგე მხარემ გაიტანოს და კიდევ უფრო სხვა გამოწვევას დავუპირისპირდეთ.

მე მჭირდება ფეხბურთელები, რომლებიც გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად მიიღებენ თავისი გამოცდილებისა და შესაძლებლობების ხარჯზე. მე და მაიკი აქ იმისთვის მოვედით, რომ ფეხბურთელებს თავდაჯერებულობა შევმატოთ, რომ ვაგრძნობინოთ თავიანთი ძალა და საკუთარი თავის რწმენა დავუბრუნოთ.

ისინი განსაკუთრებულები არიან და სწორედ ამიტომ არიან აქ. მანჩესტერ იუნაიტედს არასდროს ჰყავს ფეხბურთელი, რომელსაც რაიმე უნიკალური არ აქვს.

მოამზადა მანუელ ყორეყოლიანმა

ლატარიის მოყვარულმა ცოლს არ დაუჯერა და მოგებული დარჩა

ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ კანზას-სიტის მცხოვრებმა იმ დროს შეიტყო, რომ ლატარიის გამარჯვებული გახდა, როდესაც მეუღლესთან კამათობდა და ცოლი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მისი ლატარიის თამაშით გატაცების გამო.

ლუი კრონავიტერი მეტად გაკვირვებული დარჩა, როდესაც შეიტყო, რომ ლატარიის გათამაშების მთავარი პრიზი მოიგო. კიდევ უფრო გაოგნებული დარჩა მისი მეუღლე, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ის ლატარიის ბილეთების შეძენით ფულს ფუჭად ფანტავდა. მამაკაცის მოგებამ 22 ათასი დოლარი შეადგინა.

პრიზის მიღების დროს კრონავიტერმა აღიარა, რომ საკუთარი წარმატების ყოველთვის სჯეროდა. ის ლატარიის თამაშის შეწყვეტას არ აპირებს და დარწმუნებულია, რომ კიდევ მიაღწევს წარმატებას.

მოგებული თანხის ნაწილის ადგილობრივი ეკლესიისთვის გადაცემას აპირებს, ხოლო დანარჩენს ოჯახის საჭიროებებს მოახმარს.

პენსიონერს ანომალიურად დიდი ცხვირი მოაშორეს

ამერიკის მონტანას შტატის ხანდაზმულ მცხოვრებს რინოფიმის სამკურნალოდ რთული ოპერაცია გაუკეთდა. ეს არის ცხვირის ქრონიკული დაავადება, რომელიც წამონაზარდებით და შესიებებით ხასიათდება.

ქალაქ ლინკოლნის მკვიდრმა პატრიკმა დერმატოლოგს ცხვირზე უზარმაზარი გამონაზარდების გამო მიმართა, რომლებიც მთლიანად ფარავდნენ მისი ცხვირის ნეტოებს და სუნთქვაში ხელს უშლიდნენ.

ამ დაავადებამ თავი ჯერ კიდევ მაშინ იჩინა, როდესაც მამაკაცი ლას-ვეგასში მშენებლობაზე მუშაობდა.

– მზის საწინააღმდეგო საშუალებებს ვიყენებდი და თავს ჩრდილს ვაფარებდი, მაგრამ ცხვირი მაინც მიწითლდებოდა და მიღიზიანდებოდა. დაახლოებით ათი წლის წინ მდგომარეობა გაუარესდა, რომ ცხვირი ორჯერ გამეზარდა, – გაიხსენა მამაკაცმა.

თუმცა პატრიკის თქმით, ყველაზე მძიმე გამვლელების მზერის დაჭერა იყო, მისი ცხვირის დანახვაზე. ცხვირის პრობლემების გამო მამაკაცს ზურგი აქციეს შვილიშვილებმა, ვინაიდან მისი გარეგნობა მათ აშინებდათ.

მას მთელი რიგი ოპერაციების გადატანა მოუხდა, პირველ რიგში ნესტოების გარშემო წარმოქმნილი სიმსივნეები მოკვეთეს, რათა მას სუნთქვა გაიოლებოდა. ერთი კვირის შემდეგ საბოლოოდ მოაშორეს დარჩენილი წანაზარდები.

ქალმა ძაღლის გადასარჩენად სიცოცხლე არ დაიშურა

დიდ ბრიტანეთში უცნობმა ქალმა საკუთარი სიცოცხლით გარისკა იმისთვის, რომ ტბაში დახრჩობისგან ძაღლი გადაერჩინა.

ინციდენტი კვირას იორკშირის საგრაფოს ერთ-ერთ პარკში მოხდა. პარკში სეირნობის დროს ქალმა ტბაში ჩავარდნილი ბულდოგი შენიშნა და მის გადასარჩენად წყალში გადაეშვა. ტბის ზედაპირი ყინულის ფენით იყო დაფარული, ამიტომ ქალს მისი ჩამტვრევა მოუხდა. მან ყინულიან წყალში დაახლოებით 20 მეტრი გაცურა, რათა გაყინული ტბიდან ძაღლი ამოეყვანა.

– ალბათ ხანშიშესულ ჯენტლმენს გაექცა ძაღლი, ტბაში გადახტა და შემდეგ იქიდან თავის დაღწევას ვეღარ ახერხებდა, – განაცხადა შემთხვევის ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

– რაღაც მომენტში ვიფიქრე,, რომ ქალი დაიღუპებოდა, თუმცა ორივემ მოახერხა წყლიდან ამოსვლა. ის ძალიან ვაჟკაცურად მოიქცა, – განაცხადა კიდევ ერთმა თვითმხილველმა.

თვითმხილველთა თქმით, წყალი ისეთი გაყინული იყო, რომ გმირი ქალის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა. იქ მყოფნი ქალის სიმამაცემ აღაფრთოვანა, მას წყლიდან ამოსვლაში დაეხმარნენ და ტანზე თბილი პალტო შემოახვიეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 თებერვლისთვის

ვერძი – ცდუნებას არ აჰყვეთ. პროვოკაციული დღეა. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – რთული საქმეების მოსაგვარებლად შესაფერისი დღეა. თუ რამეს გადაწყვეტთ, კიდეც შეასრულეთ. **კირჩხიბი** – ის საქმე, რომელიც ადრე რთული გეჩვენებოდათ, დღეს ძალზე გაგიიოლდებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – სახიფათო და კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. რისკი გაუმართლებელია. **ქალწული** – შეხვედრებისა და კონტაქტებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. გარშემომყოფების ღირსებები სათანადოდ დააფასეთ. **სასწორი** – ოჯახის წევრებთან ურთიერთობა გეძაბებათ. შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი მაქსიმალური თავშეკავებაა. **ღრიანკალი** – იყავით ქველმოქმედი. თუ შესაძლებლობა გაქვთ, დაეხმარეთ სხვებს. გელით კარიერული წინსვლა. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **თხის რქა** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **მერწყული** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თევზები** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. უბანი ძველ თბილისში; 2. ღვთაების, ხატის სადიდებელი საგუნდო სიმღერა, საეკლესიო დღესასწაულის დროს; 3. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 4. გეოდეზიური კუთხმზომი ხელსაწყო; 7. ჰოლანდიური ლუდი; 8. კოსმოსდრომი იაპონიაში; 12. რომელიმე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 14. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 16. ირმის ტყავებით შეფუთული ჩუქჩების ქოხი; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 19. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 20. მექსიკელი მოქანდაკე ქალი.

თარაზულად: 5. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 6. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 9. საქარგავად გამოყენებული ფერადი ძაფი; 10. ნავთობის რაოდენობის საზომი ერთეული; 11. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. ბარიტის საბადო რაჭაში; 15. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 22. სიახლის შეტანა რაიმე საქმეში; 23. ბეისბოლის მოთამაშის ერთ-ერთი ამპლუა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰოლი; 2. სინჯი; 3. ტვისტი; 5. ტორტი; 6. კუპიდონი; 8. პრეფერანსი; 10. ცისკარი; 12. კონდორი; 14. კეხურა; 15. ბატიკა; 16. ოჰარა.

თარაზულად: 1. ჰენესი; 4. სტატიკა; 7. ბენტლი; 9. ტონიკი; 11. თერაპია; 12. კარაბინი; 13. აკვანი; 17. პრერია; 18. ანსა; 19. ფრენბურთი; 20. დინამიტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კოდექსი; 2. ბელუჩი; 3. კაბოშონი; 4. ჩინეჩიტა; 7. კომენტარი; 8. კორონერი; 12. გრინვიჩი; 14. სილიკოზი; 16. კომიქსი; 17. კრამიტი; 19. ოქმი; 20. ბარი.

თარაზულად: 5. კომუნიკე; 6. ამაშუკელი; 9. სქოლიო; 10. ჩხოუში; 11. ურანი; 13. გროგი; 15. ნიკორა; 18. ბორში; 21. კონსპექტი; 22. ქუთაისი; 23. ქიშმიში.

ნიკა ქავთარაძე ილიაუნიდან „გააგდეს“

იუმორისტი ნიკა ქავთარაძე ილიაუნში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება და საჯაროდ აცხადებს, რომ ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ სასწავლებლიდან „გააგდეს“:

– სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც ზედანიას გარეკტორების შემდეგ ილიაუნიდან „გააგდეს“, მე ვიყავი.

მიუხედავად იმისა, რომ 100-150 სტუდენტი სტაბილურად ირჩევდა ჩემს საგანს და თან ამაში თვეში 124 ლარს მიხდიდნენ, ვერაფრით გავიგე გამოშვების რეალური მიზეზი.

მწერალი დინა მირცხულავა დევნილის შემწეობის გარეშე დატოვეს



მწერალი დინა მირცხულავა დევნილის შემწეობის გარეშე დატოვეს:

– ცხოვრებაში პირველად, სახელფასო ბარათზე სოლიდური ჰონორარი დამიჯდა...

მეტი კონკრეტიკისათვის, იანვრის შემოსავალი 1000 ლარს გადასცდა...

ჰოდა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილის შემწეობა, 90 ლარი აღარ დამირიცხა...

ამ თვეში ძაან მაყუთა ხარ და არ გერგებაო...

ჯიგრებიიიი...

ეგ ნაგვები ვერ მოვთაგე, ეს ერთი!

და მეორეც – არავინ გამომედოს ახლა იმ სამასლარიან მლოკველთაგან, თორემ არ ვიცი რა�ა.

კინოთეატრი „ელისო“ მაღაზიის საწყობად არის ქცეული

კინოთეატრი „ელისო“ მაღაზიის საწყობად არის ქცეული. ინფორმაცია ამის შესახებ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ გაავრცელა:

– კინოთეატრ „აპოლოს“ ახალმა პროექტმა კომერციისა და კულტურის ნარუმატებელი კოჰაბიტაციის ერთი უკვე არსებული მაგალითი გამახსენა.

ფოტოზე აღბეჭდილია აღმაშენებელზე მდებარე ყოფილი კინოთეატრი „ელისო“, რომელსაც საბჭოთა პერიოდში „კომკავშირელი“ ერქვა.

ამ კინოთეატრის მაგალითზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ წინა ხელისუფლების კულტურის და ეკონომიკის პოლიტიკაზე, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც ახლა შეცვლილა.

2008-2012 წლებში სს „ქართული ფილმის“ ახალგაზრდა „რეფორმატორებმა“, იმის ნაცვლად, რომ კინოთეატრები შეენარჩუნებინათ, შეექმნათ დამოუკიდებელი ორგანიზაცია და მისთვის სამართავად გადაეცათ, ამ სტუდიის მფლობელობაში დარჩენილი ყველა კინოთეატრი დაუბრუნეს სახელმწიფოს. სახელმწიფომ ისინი გაყიდა ან იჯარით გადასცა კომერციულ სტრუქტურებს.

ეკონომიკის სამინისტრომ „ელისო“ 2012 წელს 37-წლიანი იჯარით გადასცა შპს ჯითექსს, ტანსაცმლის მაღაზია ტერანოვას, რომელსაც დაავალდებულეს, რომ შეენარჩუნებინა კინო ერთ-ერთი კომპონენტის სახით. ასე „იზრუნა“ სამინისტრომ კულტურაზე. იმის შემდეგ შიგნით აღარავის შეუხედავს, დიმიტრი ქუმსიშვილი როგორ მოიცლიდა მაგისთვის? და ასე იქცა კინო სულ მალე მაღაზიის საწყობად.

ორი შეკითხვა: რატომ იქცა სახელმწიფო მეწარმედ და რატომ აქირავებს ფართებს მაშინ, როცა პრივატიზაცია ამ შემთხვევაში აშკარად სჯობდა? და რატომ ანადგურებს სახელმწიფო კულტურის კერებს და ზღუდავს კულტურის სივრცეს?

ოდესმე ვეღირსებით ამ ქვეყანაში კულტურის კარგ და მისაღებ პოლიტიკას?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კახა კალაძე: „კომპანია, რომელიც გლდანის მე-6 მიკრორაიონში პარკს აშენებდა, უნდა გავაძევოთ“

კომპანია, რომელიც გლდანის მე-6 მიკრორაიონში პარკს აშენებდა, უნდა გავაძევოთ – ქალაქი არ უნდა გიყვარდეს, გული არ უნდა გქონდეს ადამიანს, რომ ასეთი დამოკიდებულება გქონდეს ქალაქთან მიმართებაში, – ამის შესახებ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა კახი კალაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ასეთი დამოკიდებულება და მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია და ასეთი კომპანიები დედაქალაქის მთავრობასთან ვერ ითანამშრომლებენ, ვინაიდან ეს არის თბილისის მოსახლეობის პირდაპირი შეურაცხყოფა.

– რადგან ეკოლოგიაზე ვსაუბრობ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია სკვერების და პარკების მოწესრიგება, არსებულის რეაბილიტაცია და ახალი საქალაქო პარკების შექმნა-მშენებლობა. გამგეობები აქტიურად მუშაობს სკვერების მოწყობაზე და მოწესრიგებაზე. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო გლდანის მე-6 მიკრორაიონში, სადაც ჩვენ პარკის მშენებლობა გასულ წელს დავიწყეთ. ყველა ამ პროექტის განხორციელების დროს ჩვენ გვყავს კონტრაქტორი კომპანიები, რომლებიც ტენდერის გზით დგინდება. სამწუხაროდ, არსებობენ ისეთი კომპანიებიც, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს უქმნიან ქალაქს და მის განვითარებას. რატომ ვსაუბრობ ამ პროექტზე? ჯერ ერთი, სამუშაოები უნდა დაესრულებინა ნოემბერში და ვერ დაასრულა. გარდა ამისა, ზედამხედველობის სამსახურმა მთელი რიგი სამუშაოები გააჩერა. მინდა გაჩვენოთ ფოტოები და უბრალოდ გული დაგეწვებათ, თუ რა სამუშაოები არის გაკეთებული და როგორ უპასუხისმგებლოდ მოიქცა ეს კომპანია. საზოგადოებას უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია და ვაჩვენოთ, როგორი მიდგომა და დამოკიდებულებაა. ქალაქი არ უნდა გიყვარდეს, გული არ უნდა გქონდეს ადამიანს, რომ ასეთი დამოკიდებულება გქონდეს ქალაქთან მიმართებაში. ეს მარტო გლდანისთვის ხომ არ კეთდება? ჩვენ ვამბობთ, რომ მნიშვნელოვანია შეიქმნას მწვანე სივრცეები და ყოველთვის ვუსვამთ ხაზს ხარისხს. დღეს გაკეთებულის ხვალ და ზეგ ისევ გაკეთება არ უნდა გვიწევდეს. მინიმუმ რამდენიმე ათეული წელი ხომ უნდა გაუძლოს იმან, რაშიც დღეს თანხები იდება? ასეთი დამოკიდებულება და მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია და პირდაპირ ვამბობ – ასეთი კომპანიები დედაქალაქის მთავრობასთან ვერ ითანამშრომლებენ. ეს არის თბილისის მოსახლეობის პირდაპირი შეურაცხყოფა. მინდა დავავალო ირაკლი ბენდელიანს, რომ გააძევონ ეს კომპანია. ადამიანები თვეებია ელოდებიან სამუშაოების დასრულებას. შესაბამისად, იმოქმედეთ კანონის ფარგლებში, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს სამუშაოების დასრულება და ამ კომპანიასთან მოხდეს შესაბამისი რეაგირება, – განაცხადა კალაძემ.

კალეიდოსკოპი

ქალი, რომელიც თავის მოკვლას ცდილობდა, თავის გადამრჩენელს შეხვდა

ლონდონის მკვიდრი ქალბატონი პირველად შეხვდა მამაკაცს, რომელმაც დაახლოებით ერთი წლის წინ ის თავის მოკვლის მცდელობისგან გადაარჩინა.

2017 წლის 27 მარტს ლივ პონტინი რკინიგზის რელსებზე იწვა, როდესაც ის მატარებლის მემანქანემ ჯონმა შენიშნა, რამდენიმე გამაფრთხილებელი სიგნალი მისცა და ამით ქალი შეაშინა.

აღნიშნული ინციდენტი ჯონის ახალ სამსახურში გასვლის მეორე დღეს მოხდა. სამგზავრო მატარებლის დატოვების შემდეგ ის ათი წუთის განმავლობაში ამშვიდებდა პონტინს და მის ნაამბობს ისმენდა. ის ქალს მოუყვა, რომ ოდესღაც მეხანძრედ მუშაობდა და საშინელი ტრაგედიების თვითმხილველი არაერთხელ გამხდარა. იმისთვის, რომ ქალის ყურადღება მისი დამთრგუნველი ფიქრებისგან გადაეტანა, მას საკუთარი შვილის ისტორიაც მოუყვა.

– იმ საღამოს ემოციურ კრიზისში ვიმყოფებოდი, მაგრამ ამ მამაკაცმა გადამარჩინა, – განაცხადა პონტინმა. მისი თქმით, სამსახურს დიდხანს ვერ შოულობდა და ამის გამო სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

იმ დღეს ის რკინიგზის სადგურში წავიდა, დაწერა წერილი, რომელიც მატარებლის მემანქანისთვის იყო განკუთვნილი, რომელშიც ბოდიშს უხდიდა და სთხოვდა, რომ მასზე წყენა არ ჩაედო გულში.

გადარჩენილისა და გადამრჩენელის პირველი შეხვედრა ბი-ბი-სის არხის ორგანიზებით ბედფორდის რკინიგზის სადგურის ბაქანზე გაიმართა. მათ დაახლოებით ათი წუთი ისაუბრეს, იმსჯელეს ქალის ადრინდელ და ამჟამინდელ სულიერ მდგომარეობასა და იმ სირთულეებზე, რომლის დაძლევაც მას მოუხდა.

სპილომ მომთვინიერებელი მოკლა



ინდოეთის კერალას შტატში სპილომ მომთვინიერებელი ერთ-ერთი ტაძრის მახლობლად მოკლა.

მომთვინიერებელი 21 ცხოველისგან შემდგარ ნახირს ტაძარში რელიგიურ დღესასწაულზე მიერეკებოდა. პირველი მიაბიჯებდა სპილო, სახელად კატი სანგარანი. ტაძართან მიახლოების დროს ხმაურმა ცხოველი გააცოფა და მორწმუნეებისკენ გაქანდა. მომთვინიერებელი მის შეჩერებას შეეცადა, მაგრამ სპილომ ის ჯერ ხორთუმით აიტაცა და ძირს დაანარცხა, შემდეგ კი ეშვებზე წამოაგო.

მეორე მომთვინიერებელი, რომელიც სპილოზე იჯდა, თავის გადასარჩენად გადმოხტა, მაგრამ სერიოზულად დაშავდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შემთხვევის ადგილზე სატყეო მეურნეობის წარმომადგენლები მივიდნენ, მათ ხუთი საათი დასჭირდათ იმისთვის, რომ სპილოს ორგანიზმში საკმარისი ოდენობის ტრანკვილიზატორი შეეყვანათ მის დასაძინებლად.

სოფელში შეჭრილმა ლეოპარდმა ადამიანები დაასახიჩრა

გააფთრებულმა ლეოპარდმა სრული ქაოსი გამოიწვია პენჯაბის შტატის ერთ-ერთ სოფელში და ხუთი ადამიანი დააშავა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო, ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ სოფელ ლამბაქს ქუჩებში მოხდა. კადრებში ჩანს, რომ ასეულობით ადამიანი სახლების სახურავებზეა თავშეფარებული და შეშინებულები ადევნებენ თვალს აგრესიულ მტაცებელს.

– გარშემო საშინელი პანიკა სუფევდა, ჩვენ ძალიან ვშიშობდით, რომ ვინმე სერიოზულად დაშავდებოდა, – აღნიშნა ადგილობრივმა მეტყევემ კხუშვინდერ სინგხმა.

პოლიცია შვიდი საათის განმავლობაში ცდილობდა ლეოპარდის დაჭერას.

– მტაცებელს სამჯერ ვესროლეთ ტრანკვილიზატორი, თუმცა მხოლოდ ბოლო გასროლა აღმოჩნდა შედეგიანი, – განაცხადა სინგხმა. მან ასევე განმარტა, რომ იმ მომენტში, როდესაც ლეოპარდი განსაკუთრებულად აგრესიულია, დასაძინებელი წამალი მასზე თითქმის არ მოქმედებს.

ხანგრძლივი დევნის შემდეგ სამართალდამცავებმა მტაცებელი ერთ-ერთ სახლში ხაფანგში მოიმწყვდიეს. რამდენიმე საათის შემდეგ ადგილზე ვეტერინარები მივიდნენ და ცხოველი უახლოეს ზოოპარკში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დელფინი რამდენიმე დღე დაღუპულ თავის ნაშიერთან ერთად დაცურავდა



მდედრი დელფინი რამდენიმე დღე თვის დაღუპულ ნაშიერს თავზე შემოდებულს დაატარებდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ზღვის ცხოველი ახალი ზელანდიის კუნძულ ჩრდილოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე ყურეში შენიშნეს. დელფინმა მკვდარი ნაშიერი დაბადა, თუმცა მას მაინც თან დაატარებდა. ბუნების დაცვის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, დელფინის მიერ გამოცემული ხმები ყურეში გემზეც კი ისმოდა, რომელიც ყურეში გადაადგილდებოდა.

დელფინი თავის გუნდს გამოეყო და მარტო დაცურავდა.

– ის დროდადრო თავის ნაშიერს ტოვებდა, თუმცა შემდეგ უკან ბრუნდებოდა და მიჰყავდა, – განაცხადა თვითმხილველმა კეტრინ პიტერსმა.

ქვეყნის ხელისუფლებამ საზღვაო გემებს, რომლებიც ყურეში მოძრაობენ, მოუწოდა, რომ მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ გადადგილების დროს.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 თებერვლისთვის

- აშშ დოლარი — 2.6524
- ევრო — 3.4616
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0365
- 100 რუსული რუბლი — 4.0431

ამინდის პროგნოზი 7 თებერვლისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

29 იანვრიდან



რევაზ ინანიშვილი

რჩეული მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

5 თებერვლიდან



ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

მონტესუმას ასული

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 თებერვლიდან



სულხან საბა ორბელიანი

სიბრძნე სიცრუისა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

7 თებერვლიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ამერიკელმა დაბადების დღე მილიონი დოლარის მოგებით აღნიშნა

ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ ჰარიმენის მკვიდრმა მილიონი დოლარი საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნის დროს მოიგო.

დეზინსპექტორმა დევონ ბრაუნმა მომენტალური ლატარიის ბილეთი თავისი დაბადების დღისთვის შეიძინა. დამცავი შრის გადაფხეკის შემდეგ კი ნახა, რომ შვიდნიშნა თანხის მფლობელი გახდა.

– ბილეთი ასჯერ მაინც ვნახე, დღემდე ვფიქრობ, რომ ეს ყოველივე მომეჩვენა, – აცხადებს ბრაუნი. მან მთელი ღამე ვერ დაიძინა, დილით კი ლატარიის ორგანიზატორის შტაბ-ბინაში მამასთან და ბიძაშვილთან ერთად მივიდა.

მიუხედავად ასეთი სოლიდური მოგებისა ახალგაზრდა კომპანიაში, რომელიც მავნებლებს ებრძვის, მუშაობისთვის თავის დანებებას არ აპირებს. მას იმედი აქვს, რომ მოგებას მომგებიანად დააბანდებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

გამოცდილი ექიმი ფსიქიატრი თავის ახალბედა კოლეგას უხსნის:

– დაიმახსოვრე, არ არსებობს ჯანმრთელი ადამიანები, არსებობენ მხოლოდ გამოუკვლევებლები!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ჩვენი დეპუტატების წასვლის შემდეგ რა დარჩება?

– მათი უკანალის ანაბეჭდი სავარძლებზე.

•••

გამოცდაზე პროფესორი სტუდენტს ეკითხება:

– თქვენი გვარი?

– ჯაფარიძე, – პასუხობს სტუდენტი და იღიმება.

– და რატომ იღიმებით?

– კმაყოფილი ვარ, რომ თქვენ პირველ შეკითხვას სწორად ვუპასუხე.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, თურმე ზვიგენები ქალებს ნაკლებად ესხმიან თავს.

– აბა რა იქნება, სილიკონები ვის მოეწონება...

•••

ექიმი ავადმყოფის სამედიცინო დასკვნაში წერს:

– ფსიქიკური დაავადებები არ აქვს. უბრალოდ სულელია.

•••

ქალი მეზობლის ბიჭს ეკითხება:

– აშოტ, სად მიდიხარ?

– ავტობუსის გაჩერებაზე.

– რა, სადმე მიემგზავრები?

– არა, დედამ მთხოვა ღილები მომიტანეო...

•••

მწვერვალზე ასული ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– შეხედე, ქვევით რა კარგი პეიზაჟია.

– ქვევით თუ ასე კარგი იყო, ნახევარი დღე ამ მწვერვალზე ამოსასვლელად რაღას მომათრევდი?!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, სადილად რა მოგიმზადო?

– არაფერი.

– საყვარელო, ახლა უფრო მეტად მიყვარხარ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დანი ალვეში შესაძლოა მანჩესტერ სიტიში გადავიდეს

პსჟ-ს ბრაზილიელი მცველი დანი ალვეში სეზონის ბოლოს, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს, რადგან მას კონტრაქტი ეწურება.

ალვეშმა ფლამენგოს უარი უთხრა. მანჩესტერ სიტი მზად არის, ალვეში დაიმატოს და მომავალ სეზონში ბრაზილიელი ვეტერანი შესაძლოა ინგლისში ვიხილოთ.

ეს ვარიანტი საკმაოდ რეალურია, რადგან ერთ-ერთ ინტერვიუში ალვეშმა განაცხადა, რომ პრემიერლიგაში თამაში მისი ოცნებაა.

კოკორინი და მამაევი 8 აპრილამდე ციხეში დარჩებიან

რუსი ფეხბურთელები ალექსანდრ კოკორინი და პაველ მამაევი 8 აპრილამდე ციხეში დარჩებიან, სანამ სასამართლო მათ საქმეზე გადაწყვეტილებას გამოიტანს.

მამაევმა და კოკორინმა 8 ოქტომბერს ჩინოვნიკს და რუსული არხის ოერტეს მძღოლს სცემეს, რის შემდეგაც ისინი რამდენიმე დღეში დააკავა პოლიციამ.

რუსეთში ამ ფაქტის გამო დიდი სკანდალი ატყდა და საზოგადოება ფეხბურთელების სამაგალითოდ დასჯას მოითხოვდა. როგორც ჩანს, ასეც მოხდება, თუმცა სასამართლოს ჯერ საბოლოო ვერდიქტი არ გამოუტანია.

ორივე ფეხბურთელმა თავისი საქციელი მოინანია და დაზარალებულებს ბოდიში მოუხადა.

არდა ტურანს 10 წლიანი სასჯელი ემუქრება

თურქი ფეხბურთელი არდა ტურანი გასულ წელს ძალიან უსიამოვნო ისტორიაში გაეხვა, როდესაც მან მომღერალ ბერკაია სახინის სცემა, რომელთანაც კონფლიქტი ამ უკანასკნელის მეუღლის გამო მოხდა. შემდეგ ტურანი საავადმყოფოში იარაღით მივიდა და მომღერალს მისი მოკვლა შესთავაზა პატიების მიზნით.

ტურანს იარაღის უკანონო ტარებაც ედება ბრალად და პროკურატურა მისთვის 10 წლიან სასჯელს ითხოვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტურანზე სატრანსფერო უფლებებს ისევ ბარსელონა ფლობს და თურქეთში არდა მხოლოდ განათხოვრებული იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნუკრი რევიშვილმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა



მეკარემ ნუკრი რევიშვილმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა. რევიშვილი ჯერ მხოლოდ 31 წლის არის, თუმცა 2018 წლის აგვისტოში მის ცხოვრებაში დიდი ტრაგედია მოხდა, მას შვილი გარდაეცვალა, რის გამოც, სავარაუდოდ, რევიშვილმა გადაწყვიტა კიდეც კარიერის დასრულება.

რევიშვილმა უამრავ გუნდში ითამაშა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ის ეროვნული ნაკრების მეკარეც იყო.

დუგლას კოშტამ ტრავმა მიიღო

ტურინის იუვენტუსის ბრაზილიელმა შემტევმა დუგლას კოშტამ პარმასთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მას კუნთი აქვს დაზიანებული.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კოშტა დაახლოებით 3 კვირის მანძილზე ვერ შეძლებს თამაშს. რამდენიმე დღის წინ ბრაზილიელი ავარიაშიც მოყვა, მაგრამ არ დაშავებულა. წლევანდელ სეზონში დუგლას კოშტამ 23 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლო. სეზონის დასაწყისში მან მეტოქე გუნდის ფეხბურთელს შეაფურთხა და ამის გამო 4 მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბრიტანული ლუდხანა; 2. მგალობელი ჩიტი; 3. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 5. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 6. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 8. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 10. ისრაელის პარლამენტი; 12. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა; 14. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 15. მებარგულე, ტვირთის მზიდავი მუშა იტალიაში; 16. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

თარაზულად: 1. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 4. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 7. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 9. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 11. სურნელოვანი პარფიუმერული სითხე; 12. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში; 13. ხილი. 17. სევდიანი, ლირიკული ჟანრის ლექსი; 18. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 19. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ტბა უნგრეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა